მ ა ტ ი ა ნ ე



ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 7 აპრილი, 2016წ. №1-2 (15-16)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-
– ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი") არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში **1976** წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა" და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი, ასევე საქართველოს სახელმწიფოებრიობის უახლოესი ისტორიის გარიჟრაჟზე ერთ-ერთი და დღესაც ფუნქციონირებადი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება.

2016 წელი ღირსშესანიშნავი საიუბილეო წელია არამარტო „საქართველოს ჰელსინკის კავშირისათვის:

1. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" (საქართველოს ჰელსინკის კავშირის") დაარსებიდან **40** წლისთავი;
2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის 25 წლისთავი;
3. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების 25 წლისთავი;
4. საქართველოს რესპუბლიკის პირველი ადგილობრივი თვითმმართველობი-თი ორგანოების 1991 წლის 31 მარტის არჩევნების 25 წლისთავი;
5. 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს ისტორიაში პირველად, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევის 25 წლისთავი.

ქართველი ერის გზა
ქრისტეს გზაა,
გზა ჯვარცმისა და
გარდაუვალი აღდგომისა

ზვიად გამსახურდია

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების"

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების კონცეფცია

შ ე ს ა ვ ა ლ ი

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკრი და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეფუძვნება. სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი.

1. კავკასია, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის გარანტი და საქართველოს, როგორც კავკასიური სახლის ქვეყანის, მედიატორული როლი მსოფლიოსათვის.

ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. მსოფლიო პროცესები იმდენად დაჩქარებულია, რომ უახლოეს ხანში ამ წინააღმდეგობათა მოუგვარებლობა უაღრესად ზრდის საყოველთაო კატასტროფის შესაძლებლობას.

მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა.

საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული, რელიგიური თავსებადობა. ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული

წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

კავკასიური ერთობის შესაქმნელად, რომლის საფუძველი იდეაში ყოველთვის არსებობდა, საჭიროა მკაფიო და მკაცრი, თანმიმდევრული მსოფლიო პოლიტიკური კურსის შემუშავება, რაც საჭიროების შემთხვევაში როგორც კავკასიური სახლის, ასევე მსოფლიოს დამცველ მექანიზმად ამოქმედდება.

ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივემხრივ უნდა წარიმართოს.

მაგრამ, მარტო დასავლეთის პროგრესული დემოკრატიული აღმშენებლობის სურვილი საკმარისი არ არის ჩვენი ქვეყნის ეროვნული აღორძინებისათვის, მას ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორად წარმართვამაც, რომელიც დამყარებული იქნება სამართლიანობისა და კანონიერების ბაზაზე.

ვიღებთ რა მხედველობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღიარებულ პრინციპებს აპარტეიდისა და ნეოკოლონიალიზმის ლიკვიდაციის, აგრესიის, უცხო ქვეყნის ოკუპაციისა და სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ, „დიდი ევროპის“ საქმიანობას, რომელიც ოთხ ძირითად მიმართულებას ეფუძნება (ევროპის თავისუფალი ადამიანთა დიდი ქარტიის შემუშავება, დიდი ევროპული ბაზის შექმნა, დიადი ევროპული კულტურის სივრცის შექმნა და სრულიად ევროპის უშიშროების კონვენციის მომზადება) და ტრადიციულ სახელმწიფოთა ერთიანობის პრინციპზეა დამყარებული, ასევე, 1991 წელს ჩატარებული ადამიანური განზომილებისადმი მიძღვნილ ეუთო-ს კონფერენციის დოკუმენტს (პუნქტი 17.1 _ „გადაჭრით გმობენ ძალებს, რომლებიც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მსვლელობისას გამოხატული ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და კანონიერად დადგენილი კონსტიტუციური წყობის დარღვევით წარმომადგენლობითი მთავრობისათვის ხელისუფლების წართმევას ლამობენ” და პუნქტი 17.2 _ „ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოში დემოკრატიულად არჩეული კანონიერი მთავრობის არაკანონიერი გზით დამხობის, ან დამხობის მცდელობისას, მონაწილე სახელმწიფოები გაეროს წესდების თანახმად ულაპარაკოდ დაუჭერენ მხარს ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სადარაჯოზე მდგარ ამ სახელმწიფოს კანონიერ ორგანოებს, გამოხატავენ რა ამით თავიანთ ზოგად ვალდებულებას, წინ აღუდგენ ამ ფუძემდებელ ფასეულობათა შემზღუდველ ნებისმიერ მცდელობას”), ვეყრდნობით რა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს, ვაცნობიერებთ რა პასუხისმგებლობას ქართული ერის წინაშე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების უზრუნველყოფისათვის, მიგვაჩნია:

- ***უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა - კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა.***

მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ფუძემყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო.

უკვე ახალ საუკუნეში, მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (დანიშნულებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების დაუბლოკავად, გამარტივებულად მიღებისა და ამ გადაწყვეტილებების დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც, ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც რომელიმე ავზრახვიან ქვეყანას საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს.

- *საშურია, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.*

სახელმწიფოთა უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც მსოფლიოს ერთა კულტურათა და კოლექტიური უსაფრთხოების, მასთან ერთად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ფუძემდებლური პრინციპები უნდა იქნეს აღიარებული ყველა სახელმწიფოს მიერ და ამ პრინციპიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოსა და ადამიანის ღირსების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი უფლების რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს, რამეთუ სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სულიერი მდგომარეობის დაუცველობა, ძალზე დიდ დაბრკოლებას იძლევა თვითოეული ერის ღირსების განვითარებაზე. ეროვნული ღირსება კი, არა მარტო თეორიული ცნება, არამედ რეალური ერთეულის, მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და ისტორიის მქონე ერის ძირითადი ატრიბუტია და თავისთავად მიღწევადი რეალობაა, რადგან იგი გამომდინარეობს ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობიდან, რომელიც წარმოშობილია ენის, ტეროტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა.

ეროვნული ღირსების გრძნობის ამაღლება შესაძლებელია ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის, ასევე ერის იდეურ-მორალური, ეთიკური, ზნეობრივი და საღმრთო რწმენის დონეთა ამაღლებით. ეროვნული ღირსების გრძნობა თავისთავად ერის ნაყოფიერი ორიენტაციაა და იგი დიდ როლს თამაშობს როგორც პიროვნული ღირსების, ასევე ცხოვრების დონის ამაღლებასა და ქვეყნის განვითარებაზე.

მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ ხდება, რამეთუ ცვალებადობას მხოლოდ სუბიექტივიზმი განსაზღვრავს მნიშვნელოვნად. ასე, რომ იდეალიზმთან მიახლოებული რეალობა ობიექტურ, თეორიულ და ემპირიულ განსაზღვრებაში შეიძლება ისტორიულად განსაზღვრულ მუდმივად მივიჩნიოთ. მორალური პრინციპების განხორციელება კი შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოში და თავად ერში, არამედ საყოველთაოდ და ყველგან.

მოწინვე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემისა და მათი ეფექტური განხორციელების საყოველთაო მნიშვნელობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. მათ უნდა შეახსენონ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობა, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით.

- *მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები მათი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ერთა ხელისუფლებათა საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებულია თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.*

სახელმწიფოს დემოკრატიულობა ძევს მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, რომელიც ამ სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ევოლუციურად აღმავლობაში მყოფი მისი ბუნებიდან გამომდინარეობს და სარგებლობს როგორც სახელმწიფოს შიგნითა ხალხის, ასევე მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საყოველთაო მოწონებით.

თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან და ქვეყნის საკუთარი განმგებლობის უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მუდამ უნდა ჰქონდეს უფლება სრული თავისუფლების პირობებში დაადგინოს

თუ როდის და როგორ სურს მას განსაზღვროს თავისი შინაგანი და გარეგანი პოლიტიკური სტატუსი. ქვეყანა საერთო, საყოველთაო რეფერენდუმის გზით, გარედან ჩარევის გარეშე თავადვე უნდა განსაზღვრავდეს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

სახელმწიფოს დანიშნულება ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. თვითდამკვიდრების ურთულეს გზაზე ყოველი ერი ესწრაფვის თავისი სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური ველის გაფართოვებას. სწორედ ამაში ვლინდება ერის სიძლიერე და სიცოცხლის უნარიანობა. დემოკრატიის გარეშე კი შეუძლებელია რაიმე სახის სულიერების გავრცელება.

2. *საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამართლებრივი გადაწყვეტა და მისი დაცვა*

ქვეყნის სახელწიფოებრიობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ტერიტორიის და ბუნებრივი რესურსების დაცვას. სახელმწიფოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს მომიჯნავე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან გამოჰყოფს სახელმწიფო საზღვარი. ამდენად, ნათლად სჩანს სახელმწიფოსათვის საზღვრის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პრობლემატური საკითხების გადაწყვეტის სასიცოცხლო მნიშვნელობა, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების, ასევე სახელმწიფოებათაშორისი ურთიერთობის თვალსაზრისითაც.

1921 წლის ანექსიისა და ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ საქართველომ დაკარგა ერთა ლიგის რიგი ქვეყნების მიერ აღიარებული ტერიტორიის თითქმის მესამედი, ლამის ამდენივე მნიშვნელოვანი ტერიტორიული ნაწილები 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს საომარი პროცესების შედეგად.

სამწუხაროდ, საქართველომ 1918-21 წლების დამოუკიდებლობის პერიოდში, ცნობილ მიზეზთა გამო ვერ შესძლო მეზობელ სახელმწიფოებთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრების სრულად სამართლებრივი განსაზღვრა და დღეისათვის არ მოგვეპოვება ასეთი ნორმატიული ბაზა.

სასაზღვრო სიტუაცია ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ყველაზე კარგად ჯერ-ჯერობით აზერბაიჯანთანაა დაცული, ამ შემთხვევაშიც იგი 1938 წლის მდგომარეობას ეფუძნება. კომისია შეიქმნა სომხეთთან დაკავშირებითაც, მაგრამ გარკვეულ ვითარებათა გამო პრობლემის გადაწყვეტა ყოველთვის ჭიანურდებოდა. საერთაშორისო ნორმების შესაბამისად დელიმიტირებული გარე საზღვარი საქართველოს მხოლოდ თურქეთთან ჰქონდა, იგი მას სსრკ-სთან ჰქონდა გარკვეული და მდგომარეობა ასევე დარჩა.

გარდა ტერიტორიული დანაკარგებისა ბარბაროსულად განადგურდა საქართველოს ბუნება და კულტურის ძეგლები, გაიძარცვა ბუნებრივი რესურსები. ცხადია, ამ პროცესებმა უზარმაზარი ფინანსური ზარალი მიაყენეს ქვეყანას და ეს სათანადოდ საქართველოს ტერიტორიული დაუცველობითა და სახელმწიფო საზღვრების ფაქტობრივი არარსებობითაც იყო გამოწვეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1990 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს მიწა, საჰაერო სივრცე, წყლის რესურსები, კონტინენტური შელფი და წიაღისეული ეროვნულ საკუთრებად გამოაცხადა, სსრკ-ს ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი, მიიღო აგრეთვე საკანონმდებლო აქტები სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების შესახებ, საბაჟო სამსახურის შესახებ, ეროვნული საჯარისო ფორმირებების შესახებ, ეროვნული უშიშროების სამსახურის შესახებ.

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კანონიერი გზით არ გაუქმებულა, საქართველოს კანონიერ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, არ არსებობდა საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობაში შეყვანის სამართლებრივი საფუძველი. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით გამოაცხადა 1921 წლის თებერვალში საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

1991 წლის 21 დეკემბრიდან დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის ცნობა და საქართველოს ტერიტორია, მისი ფარგლები განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიის და შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის საფუძვლად აღიარებულია საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკებთან საქართველოს სსრ-ს ადმინისტრაციული საზღვრები. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გაერო-ს (რომლის წევრიც საქართველო გახდა 1996 წელს), საერთაშორისო თანამეგობრობისა და ორგანიზაციების მიერ საქართველო იურიდიულად და ფაქტობრივად აღიარებულ იქნა მის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ანუ საქართველოს დარჩა სსრკ-ს დაშლის შედეგად მიღებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიების სამართალმემკვიდრე.

საქართველოს 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭო უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უმნიშვნელოვანეს საქმეს, რასაც იმ პერიოდთან დაკავშირებული ზემოთ მითითებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებაც

ადასტურებს.

1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ შესაძლებლობა მოუსპო ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა ზემოთაღნიშნული მიმართულებით.

გადატრიალებამ, ამ მხრივაც, ძირითადი სამართლებრივი ბაზაც გამოაცალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას. 1992 წლის 2 იანვრის დადგენილებით სამხედრო საბჭომ შეაჩერა საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის (1990-1991 წლების შესწორებებითა და დამატებებით) მოქმედება ქვეყნის ტერიტორიაზე, რის შემდეგ იმ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოსთვის მოეგლიჯათ ტერიტორიები, ხელ-ფეხი გაეხსნათ და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სეპარატისტული ხელისუფლების ჩამოყალიბებით ქვეყანას ჩამოაშორეს სამაჩაბლო და აფხაზეთი. მართალია, კანონიერი ხელისუფლების შენარჩუნებით, მაგრამ მაინც კონსტიტუციური ვაკუუმი აღინიშნა აჭარაშიც. საფუძველი დაედო საქართველოს ტერიტორიის სამართლებრივ დანაწევრებას. აღნიშნული დანაწევრების ფაქტობრივი აღიარება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაა, სადაც არ არის დაფიქსირებული არც აფხაზეთი, არც აჭარა (მოგვიანებით, შედარებით დარეგულირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხი) და არც ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთი" (სამაჩაბლო), ანუ არ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს დამოკიდებლობას საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთისა და ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" ხელისუფლებას შორის.

საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას სათანადო გეზს აძლევდა გეოპოლიტიკური ტენდენციები და მათ განსახორციელებლად შემუშავებული ქვეყნის შიდა, თუ გარე სქემები. დღეს გეოპოლიტიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამუშავდა სხვა სქემები. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკით, მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ოპტიმალურად გადავწყვიტოთ დღევანდელი პრობლემები. ოღონდ ყოველივე ამის განსახორციელებლად საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა:

- ***უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.***

ევროპის უშიშროებასა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის (ჰელსინკი, 1975) III და IV პრინციპების თანახმად აკრძალულია ქვეყნის საზღვრების ხელყოფა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. იგივე მიდგომას საზღვრებსა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ ადასტურებს 1986 წლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი მონაწილე სახელმწიფოების ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი.

აღნიშნული დოკუმენტები ცალსახად განმარტავენ, რომ აფხაზეთი და ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთი" ეკუთვნის საქართველოს და მათ დამოუკიდებელ ქვეყნებად ვერავინ სცნობს კანონიერად და სამართლებრივად, ვინაიდან დაირღვევა საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები, მაგრამ მითითებული ნორმები ვერ აიძულებენ აღნიშნულ წარმონაქმნებს, დაემორჩილონ საქართველოს ხელისუფლებას, ანუ ისინი მხოლოდ გარედან აწესრიგებენ მდგომარეობას, შიდა მდგომარეობა კი მხოლოდ ქვეყნის კონსტიტუციამ უნდა მოაწესრიგოს.

1978 წლის კონსტიტუცია (1990-1991 წლების შესწორებითა და დამატებებით) იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი აფხაზეთის, აჭარისა და ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის", მის გაუქმებამდე ხელისუფლებათა დაქვემდებარებების გარანტი. ეს დაქვემდებარება მათი საკუთარი კონსტიტუციებითაც (აჭარა, აფხაზეთი) იყო განმტკიცებული. აღნიშნული კონსტიტუცია აკონტროლებდა საქართველოს მთელ ტერიტორიასა და სამართალმემკვიდრეობის გამო საკონსტიტუციო ვაკუუმი გამორიცხული იყო.

1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ დაარღვია ზემოთაღნიშნული მოწესრიგებული მდგომარეობა, რისი ერთ-ერთი ძირითადი შედეგიც არის 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეული ტერიტორიების შემდგომი ფაქტობრივი დაკარგვა და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების აზრის საწინააღმდეგოდ რუსეთის მიერ ცალმხრივად აფხაზეთისა და ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა..

- ***გამოსავალი აღნიშნული მდგომარეობიდან არის ერთადერთი – რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის გარდა, ფაქტობრივი ძალაუფლების მქონე ხელისუფლების მიერაც, უნდა სამართლებრივად, პოლიტიკურად და იურიდიულად შეფასდეს 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება და მისგან გამომდინარე ქვეყნის შემდგომი პროცესები; უნდა შემუშავდეს ახალი კონსტიტუცია და სამართლებრივი აქტები, სადაც გათვალისწინებული იქნება და იურიდიულად აღსდგება 1992 წლის 2 იანვარს გაუქმებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები საზღვრების ურღვევობისა, ტერიტორიული მთლიანობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შესახებ, რაც სრულიად აღადგენს სამართლებრივ საფუძველს ტერიტორიული მთლიანობისათვის: 1991-1993 წლებისა და 2008 წლის ომები დაკარგავს თავის პოლიტიკურ შინაარსს და ის ტერიტორიები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარეთ დარჩნენ,***

კანონიერად მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ. ამის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის ფაქტობრივად აღდგენისათვის წარმოებული ყოველგვარი ღონისძიება საერთაშორისო სამართლის დამატებითი სტატუსითაც იქნება განმტკიცებული.

ცხადია, არა გვაქვს ილუზია, რომ ზემოთაღნიშნული ქმედებანი ერთბაშად მოაწესრიგებს ყოველივეს, მაგრამ სამართლებრივად მოგვარებული პრობლემების გადაჭრა საერთაშორისო სამართლის პრეროგატივაა. ამას საერთაშორისო არბიტრაჟი მოყვება და ამგვარ დონეზე საკითხთა გადაწყვეტა კი ცხადია, სათანადოდ შეამცირებს ძალადობრივ ფაქტორს.

3. *საქართველოს სახელმწიფოებრივობის ისტორიული სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის გზით, ერის საკოველთაო თანხმობით მისი სახელმწიფო სიმბოლიკის, ენის, სახელისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი*

რამეთუ, დღეს, ქვეყნის დაშლასთან, ეკონომიკის რღვევასთან, ხალხის გაღატებასთან, განათლების, მეცნიერების, კულტურის დაცემასთან ერთად, საქართველოს ემუქრება ყველაზე საშინელი საფრთხე - თავისი ეროვნული სახის დაკარგვა და უფრო მეტიც, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთიანობის ფიზიკური გაქრობა.

ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არც ჩვენ არ უნდა ჩამოვუშვათ ხელები.

ისტორიული პროცესების განვითარების დიალექტიკა თავისთავად გვკარნახობს არსებულ წარმოდგენათა გარკვეული კორექტირების აუცილებლობას. ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც მომავალში ქართველი ერის ისტორიული მეხსიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩატეხილი ხიდების'' გამრთელების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს.

საშურია, ერის საყოველთაო თანხმობით და საქართველოს სახელმწიფოებრივობის ისტორიული სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის გზით, ქვეყნის სახელის, სიმბოლიკის, სახელმწიფო ენისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტა.

ძველი კოლხეთის (ძვ. წ. XVI-XV ს. ს.-დან ძვ. წ. VII ს. ს.) სამეფოს წინარე ეპოქაში სახელმწიფო ცნობილი იყო „იბერიის'' სახელწოდებით (ძველი ბერძნები და ბიზანტიელებიც იბერიაში მთელ საქართველოს მოისაზრებდნენ და საყურადღებოა ასევე, რომ ბერძენსაც „ბერძენი'' _ „იბერ+ძენი'' მხოლოდ ქართულად ჰქვია) და მკვიდრ მოსახლეობას „იბერიელები'', ხოლო მათი ენა იყო ქართული - „იბერიული ენა''. ქვეყანას „კოლხეთი'' დაარქვეს ბერძნებმა იმ მიზნით, რომ განესხვავებინათ აღმოსავლეთის იბერები დასავლეთის იბერებისაგან. ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში „იბერებს'' ვხედავთ თითქმის მთელ ევროპაში, ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში, პირენეის ნახევარკუნძულზე, ცენტრალურ ევროპაში, ინგლისში, ირლანდიაში და ა. შ. „იბერების'' სამშობლოდ კი კავკასია იყო მიჩნეული.

ცნობილია ასევე, რომ ძვ. წ. VII-VI საუკუნისათვის, სახელმწიფო მოიცავდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად მთელი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიას. „იბერიის'' შემადგენლობაში იყო კოლხური ტომი და ამ ეპოქისათვის სამეფოში 20-ზე მეტი ერთი ეთნოსისა და ენის მქონე ტერიტორიული ჯგუფების ტომია გაერთიანებული. შემდგომ, დაწყებული კიმერიელებისა და სხვა რჯულის ურდოების შემოსევების დაწყებიდან, ქვეყნის დაშლის პროცესიდან გამომდინარე „ქართების'' ტომიც გამოეყო და შექმნეს სახელმწიფო არმაზში და ა. შ. VIII საუკუნის მერე ჩნდება „ქართლი'' და X ს. დასასრულიდან კი „საქართველოს'' - ქართველური სახელმწიფო.

იბერიელები ერთი ეთნოსისა და ენის მქონე ჭეშმარიტი ქართველები იყვნენ. ტერმინ „იბერიას'' არცერთ ენაზე, გარდა ქართულისა, არ მოენახა ახსნა.

ჟამთა ცვალებადობამ შემდგომ პერიოდშიც ბევრჯერ შეცვალა სახელმწიფოს საზღვრები, ქართულ სამეფოთა დინასტიები, კუთხე-ტომთა სახელწოდებები და ქართული ენის დამწერლობათა გრაფიკა, მაგრამ ღვთის და ქართველი კაცის მედგარი და დაუოკებელი სამშობლოსადმი დიდი სიყვარულის წყალობით დღესაც არსებობს ქართული გენი, ენა, მამული და რწმენა.

დღეს, როცა ასე აუცილებელია, აშენდეს ერთიანი ქართული სხეულით გასხივოსნებული სახელმწიფო, საჭიროა საქართველოს სახელმწიფოებრივობის არამარტო მისი ბოლო წლების, არამედ მთლიანად ისტორიული სამართლიანობის აღდგენაც.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივობის ისტორიული სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მივიჩნევთ:

- *საქართველოს დაუბრუნდეს მისი ისტორიული სახელი და ეწოდოს „იბერია'' (წარმოთქმით ერთიანი სახელი მსოფლიოში და არა ისე, როგორც დღეს არის - „ჯორჯია'', „გრუზია'', „გურჯისტან'' და სხვა. სახელმწიფოს სახელწოდება სიტყვებით „საქართველო'' და*

„ქართველები" არცერთი ქვეყნისათვის ცნობილი არაა), სახელმწიფოს მოქალაქეებს კი „იბერიელები"; შემუშავდეს სახელმწიფოს ახალი და სამართლებრივი სიმბოლიკა;

სახელმწიფო ენად გამოცხადდეს „იბერიული ენა" - იგივე დღევანდელი ქართული ენა, რომლის დამწერლობაშიც შენარჩუნდეს, როგორც დახვეწილი მხედრული დამწერლობა და რომელსაც დაემატოს ანბანიდან ამოღებული განსაკუთრებული ჟღერადობის რამდენიმე ასო-ბგერა; ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ახალი სათემო სტრუქტურა, რომელშიც შენარჩუნებული იქნას ქვეყნის კუთხეთა არსებული, დღევანდელი დასახელებები (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი, რაჭა, ლეჩხუმი, აჭარა, მესხეთი, ჯავახეთი, სამაჩაბლო, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი და სხვა), გაუქმდეს დრომოჭმული „იმპორტირებული" რაიონული, თუ გუბერნიული დაყოფის სქემები და მათ მაგივრად შეიქმნას ადგილობრივი საკრებულოები, ხოლო ე. წ. ავტონომიურ წარმონაქმნებს და ქვეყნის კუთხეებს გაეზარდოს და მიეცეთ იბერიულ-ქართული სახელმწიფოს ახალი, ძლიერი და თავისუფალი, ჭეშმარიტად შესატყვისი სტატუსები, რომლებიც კი არ დააკნინებენ, პირიქით გაუზრდიან ეთნიკურ-კულტურულ უფლებამოსილებებს, მკვეთრად ამაღლებულად იქნებიან წარმოდგენილნი ქვეყნის სახელმწიფო მმართველობით არჩევით საკანონმდებლო, სააღმსრულებლო და სხვა სტრუქტურებში, რითაც ისინი ვალდებულნი და თავისუფალნი იქნებიან იღვაწონ არამარტო თავიანთი კონკრეტული კუთხის, არამედ დიდი და ძლიერი ქვეყნის საკეთილდღეოდ; ამასთან ერთად მოხდეს მათი საერო გაერთიანებები ისტორიული სამართლიანობიდან გამომდინარე (კოლხეთი, ქართლი, ჰერეთი, ეგრისი, ლაზეთი, ჭანეთი, არგვეთი და სხვა), ექნებათ თავიანთი არჩევითი საკანონმდებლო-სააღმასრულებლო ორგანოები და მათი წარმომადგენლობით ინტეგრირებული იქნებიან მთლიანი ქვეყნის მმართველ სტრუქტურებში; ამასთანავე კარგი იქნება, თუ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღედ შეირჩევა არა ორი, არამედ ერთი თარიღი, სამართლიანობისა და კანონიერების მიხედვით (ისტორიულად, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს იმდროინდელი მთავრობა, მხოლოდ ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდგომ და გარე ქვეყნების რჩევა-მოთხოვნით იძულებული შეიქმნა ამ გზით გამოეცხადებინა ქვეყნის დამოუკიდებლობა, რისი გამყარებაც ვერ მოხერხდა საერთაშორისოდ და 1920 წელს ერთა ლიგის მიერაც სათანადოდ ვერ მოესწრო ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობა). 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებული პრინციპებითა და მათზე დაყრდნობით - ქვეყნის დამოუკიდებლობის დღედ უნდა დარჩეს თარიღი - „9 აპრილი".

ეროვნული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ასევე აუცილებელია:

- *უნდა მოხდეს სრული, ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა და შერიგება საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც საჭიროა დაფიქსირდეს სახელმწიფოს ძირითად კანონში კონსტიტუციაში და წარმოადგენდეს ერთადერთ სავალდებულო პოზიციას სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებისათვის;*
- *უნდა შემუშავდეს, მომზადდეს და რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნას ახალი ეროვნული კონსტიტუცია, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობა და კანონის უზენაესობა;*
- *სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო, ორპალატიანი პარლამენტი და მთავრობა. მასთან საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სრული გამიჯვნა;*
- *პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, აზრთა და პოზიციათა პლურალიზმის რეალური დაშვება, ადმინისტრაციული აპარატის სრული დაქვემდებარება სამართლებრივად და კანონიერად არჩევითი ხელისუფლებისადმი;*
- *პოლიტიკური მართვის სისტემის ძირეული დეცენტრალიზაცია;*
- *ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, ბრალდებებისა და დაცვის უფლებათა გათანაბრება;*
- *სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების, ასევე კონსტიტუციის საყოველთაო რეფერენდუმის წესით გადაწყვეტა;*
- *დაკანონდეს მრავალპარტიული, საყოველთაო დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა;*
- *ეროვნული, სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო წესით განისაზღვროს ქვეყნის მოქალაქის სტატუსი და ამ სტატუსის მიღების წესი;*

- *გარდაიქმნას და ჩამოყალიბდეს ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი თანამედროვე სტრუქტურები და საჯარისო ფორმირებები (საზღვრის დაცვის, უშიშროების, შინაგანი ჯარის ფორმირებები და ეროვნული გვარდია);*
- *დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად გადასინჯული იქნას ყველა ის კანონი, რომელმაც განსაზღვრული დაბრკოლებები შექმნა დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების სფეროებში.*

4. *საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური აღორძინების პრინციპები*

საქართველოს სახელმწიფოს ბუნებრივ რესურსებსა და სტრატეგიულ ადგილმდებარეობაზე კონტროლი მუდამ იყო არაკეთილმოსურნე სახელმწიფოთა მეტოქეობის ძირითადი მიზანი, რომელთა ინტერესები ნთქავდა საქართველოს მდიდარ, ბუნებრივ, შრომით და ფინანსურ რესურსებს. დავიწყებას მიეცა საუკუნეებით გამომუშავებული და ქართველი კაცის ეთნოფსიქიკაზე დაყრდნობილი მეურნეობის სისტემა, მისი გაძღოლის მეთოდები. ქართველი კაცისათვის არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, ქართველი მეურნე კი დიდწილად მეწარმისა და აღმშენებლობისაგან მიმთვისებლად და მომხვეჭელად აქცია, დაავიწყა გენით კოდირებული რუდუნება შრომისადმი. რეალობაა, რომ დღეს ქვეყანაში დარღვეულია სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმები, წესი, მოშლილია საზოგადოების იერარქიული წყობა, დარღვეულია სოციალურ ფენათა საზღვრები და გაურკვეველ-შემოუფარგლავია მათი ინტერესების სფერო, განუსაზღვრავია საზოგადოების განვითარების დინამიკა.

მიუხედავად განუწყვეტელი შემოსევებისა და ომებისა, ქართველი ერის მძლავრი ინდივიდუალიზმის, არახელსაყრელი პირობებისადმი მისი შეგუების უნარის, ასევე ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების წყალობით, საქართველოს ეკონომიკა ინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას და მისი განვითარების ისტორია მოწმობს, რომ მას ძალუძს იყოს მაღალგანვითარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ეკონომიკის აღორძინების უდიდესი პოტენციალი საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობაში, მის ბუნებრივ რესურსებში, კლიმატურ პირობებში და ქართველი კაცის შესაძლებლობებში მდგომარეობს. ოღონდ ეკონომიკური სისტემითი რეორგანიზაცია და შეცვლა არ უნდა ხდებოდეს ერთი ხელის დაკვრით, რაც მხოლოდ ეკონომიკის ნგრევას, ეროვნული ცნობიერების, ფსიქიკის, ცხოვრების წესის რღვევას, ქართველი ერის თვითმყოფადი ბუნების გადაგვარებას იწვევს.

ყოველივე ამის გაცნობიერება და იმ გზების ძიება, რომელიც ქართველ მეურნეს გაათავისუფლებს, არის ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება. მხოლოდ თავისუფალ მეწარმეობაზე დაყრდნობილი მეურნეობა შესძლებს ეკონომიკური ზღუდის გარღვევასა და საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში უშუალოდ ჩართვას, მყარ საფუძველს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო სიძლიერისა, ცივილიზირებულ ერთა ოჯახში საქართველოს ღირსეულ შესვლასა და დაფუძნებას. წარმოების საშუალებებზე, საქართველოს მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ჯანსაღი ეკონომიკური სისტემა ამ ენერგიას მიმართავს მოსახლეობის ყველა ფენის სასიკეთოდ, საყოველთაო სიუხვისა და კეთილდღეობისათვის, საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის. საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისაკენ მიმართული ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა უნდა გამოხატავდეს თავისუფალ მოქალაქეთა საერთო ნებას. იგი უნდა ჰქმნიდეს პიროვნების მატერიალური და სულიერი თავისუფლების საფუძველს. დადგა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა–გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა, ამისათვის ყველა საქმე, იქნება ეს მეურნეობრივი, წარმოებრივი, ცხოვრებისეული, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ სხვა, უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად. სწორედ აი ამ მიმართულებით უნდა ავაღორძინოთ საკუთარი ეკონომიკა, აღვადგინოთ და დავამყაროთ ახალი პარტნიორული, სუვერენული ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით მოწინავე განვითარებულ ქვეყნებთან, სხვა შემთხვევაში ყველა ქმედება სხვისი სამსახური იქნება და არა საკუთარ მოთხოვნილებათა მეურნეობრივი საქმიანობის წარმართვა.

- *გასაღები ქართული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობისა, ქართველი მეურნის უცხო, თავსმოხვეული ეკონომიკური სისტემისაგან გათავისუფლებაში ძევს. საკუთარი ეკონომიკისა და ტრადიციული მეურნეობის გარეშე, ქართული ცხოვრების წესის თანამედროვე ცივილიზაციის გათვალისწინებით აღორძინება და დაცვა წარმოუდგენელია. წიაღისეული უნდა იყოს საქართველოს განძის რანგში ასული, მისი გამოყენება აუცილებლად უნდა ხდებოდეს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფომ მონოპოლია უნდა განახორციელოს სტრატეგიული დანიშნულების მეურნეობაზე. მეურნეობის იმ დარგებში და საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც მეურნეობისათვის არახელსაყრელი პირობებია, უნდა შენარჩუნდეს სახელმწიფო საკუთრება, რომლის სუბიექტიც იქნება არა სახელმწიფო*

ზოგადად, არამედ საქართველოს მთავრობა პერსონალურად, რომელიც ერის წინაშე პასუხისმგებელი იქნება მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა ეფექტიანობაზე.

ამჟამად, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების ანალიზიდან გამომდინარე, საქართველოში, სადაც პოლიტიკური სპექტრის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს, ის კაპიტალი, რაც შემოვა საქართველოში საერთაშორისო პროექტების მეშვეობით, უნდა ჩაიდოს ეროვნულ ინსტიტუტებში: ცოდნაში, ანუ განათლების სტრუქტურებში, ჯანმრთელობაში, მომავალი თაობის აღზდის საქმეში, ეროვნული თავდაცვის სისტემაში, ანუ ცნობიერებამ უნდა განსაზღვროს ყოფიერება.ა უცილებელია სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების მიერ აღებული უცხოური ვალების შესწავლა და მათ შემცირებაზე ზრუნვა.

სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ-ტრადიციული ეკონომიკის თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მოწყობას და დემოკრატიულ მმართველობას ანუ ქართული ცხოვრების დღევანდელი ცივილიზაციის მოთხოვნის შესაბამის აღორძინებას.

ეკონომიკის აღორძინების უმნიშვნელოვანესი პირობაა ადამიანის თაოსნობის სტიმულირებისა და მისი შრომის შედეგების დასაკუთრების შესაძლებლობების შეუზღუდველობა.

უპირველესი პრობლემაა საკუთარი მოთხოვნილებისათვის საკუთარი წარმოების შესაბამისი გაცვლა-ვაჭრობის აღორძინება, ტრადიციული და სტრატეგიული მეურნეობის მიზანშეწონილი თანამედროვე განვითარების დონეზე აღდგენა, მისი რეგულირება, სამართლიანი კონკურენციისა და პარტნიორული ეკონომიკურ ურთიერთობათა დამყარება, საკუთარი მოთხოვნილებისათვის საკუთარი მატერიალური ბაზის შექმნა, საკუთარი სოციალური გარანტიების სისტემების ჩამოყალიბება და აქედან გამომდინარე, საკუთარი ეკონომიკით მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში თანამშრომლობის დამყარება იქნება უმნიშვნელოვანესი ძირითადი ამოცანა და სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის დაცვის შესაძლებლობა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საკუთარი რესურსების მობილიზაციასთან ერთად უცხო ქვეყნის კაპიტალის, ინვესტიციების მოზიდვა და მათი დახმარებით წარმოებისა თუ მეურნეობის გამართვა, შეჰქმნა და განვითარება, მაგრამ ამასთან აუცილებელია დამუშავდეს და მოქმედებდეს ქონების გასხვისებისაგან თავდაცვის მექანიზმები.

საფინანსო სისტემა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცების ერთ-ერთ საფუძვლად უნდა გადაიქცეს. თავისუფალი ფასწარმოქმნა მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს მწარმოებელთა ინიციატივის ფართოდ გაშლას, თავისუფალი კონკურენციის განვითარებას, რაც წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის დინამიკური განახლებისა და ხარისხის ამაღლების უპირველესი ეკონომიკური საფუძველი გახდება.

თავდაპირველად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საგადასახადო შეღავათების სისტემა, რომელმაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სტიმული უნდა მისცეს საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებს. შეღავათების სისტემის ამოქმედება გარკვეულ გავლენას მოახდენს ინფლაციური პროცესების შეჩერებასა და ფასების განუსაზღვრელი ზრდის შეზღუდვაზე. აუცილებელია ნორმალური საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავება, რომ უპირველესყოვლისა დასაქმდეს საქართველოს მოსახლეობა. სახელმწიფო შემოსავლების ხარჯვა კი უნდა იყოს გამჭვირვალე.

სახელმწიფო განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მტკიცედ უნდა იყოს განსაზღვრული და მისი განხორციელებისაკენ უნდა მიმართული იქნეს საგადასახადო შემოსავლები. გადასახადების გადახდა უნდა იყოს თავმოყვარეობის რანგში აყვანილი. გადასახადის ოდენობა უნდა განისაზღვროს სიცოცხლისათვის აუცილებელი მინიმალური ოდენობიდან გამომდინარე.

საზღვარგარეთიდან მოზიდული სახსრები უნდა მიიმართებოდეს ეროვნულ-ტრადიციული საქმიანობის აღორძინებისაკენ, რასაც უნდა ემსახურებოდეს საბაჟო სამსახურები. შედარებით დიდი განაკვეთით უნდა იბეგრებოდეს ის პროდუქცია, რომელსაც ეროვნული-ტრადიციული საქმიანობის აღორძინებას ხელს უშლის.

უცილებელია ერთიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. უნდა შეიქმნას ერთობლივი ბანკები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისათვის გამოვიყენით ჩვენი პარტნიორების საკრედიტო ხაზები და მათ მიერ გაცემული გარანტიების საფუძველზე გაცილებით ადვილი იქნება როგორც უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ასევე ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაცია.

უნდა ამაღლდეს დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა. ეროვნული ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა, ჩამოყალიბდეს საქართველოსათვის შესაფერისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალური სტრუქტურა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ ენერგეტიკის არატრადიციული დარგების (მზის, ქარის, თერმული წყლების) განვითარებას, მნიშვნელოვანია აგრეთვე მტკნარი წყალის რესურსებისა და სხვადასხვა ჰიდრორესურსების სათანადო გამოყენება, ამასთან ბიოგაზის ენერგეტიკის მოსახლეობის სამსახურში ჩაყენება. საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ჩვენს ჰიდროენერგეტიკაში ჰიდროელექტროსადგურების ადგილის და როლის უდიდესი მნიშვნელობა.

როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს მანქანათსამშენებლო კომპლექსმა. მან საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებას და

არსებული მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ბაზის ოპტიმალურ გამოყენებას.

ამასთან, მაღალი ტემპებით უნდა განვითარდეს შავი და ფერადი მეტალურგია, კვების მრეწველობა, თევზის მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა. მრეწველობის ამ დარგებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოებასა და პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებას.

სოფლის მეურნეობის განვითარებად გზად მიჩნეული უნდა იქნას ინტენსიფიკაცია. აღდგენილ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის ეროვნულ-ტრადიციული ფორმები: მემარცვლეობის კერები აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლისა და სიმინდის წარმოებით, დასავლეთ საქართველოში _ სიმინდისა და პარკოსნების წარმოებით, მაღალმთიან ზონაში მოზანშეწონილია საგაზაფხულო თავთავიანი კულტურებისა და კარტოფილის წარმოება, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა და მეცხოველეობა.

ქვეყნის სატრანსპორტო სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია საავტომობილო ტრანსპორტს, მაგრამ არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას, ასევე სარკინიგზო, საჰარეო ტრანსპორტსა და მის სპეციალურ სახეობებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურ ინფრასტრუქტურას: ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რეკრეაციულ-ტურისტული კომპლექსის განვითარება.

მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს მთლიანად ქვეყნისა და ასევე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სოციალური პროგრამები, რომელთა საფუძველზე საქართველოს ყველა მოქალაქეს მიეცემა განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებათა მინიმუმით უფასოდ სარგებლობის გარანტია.

სუვერენული საქართველოს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, მისი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქეთა შრომის უფლების რეალიზაცია.

უმნიშვნელოვანესია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის თვისობრივი განახლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფილაქტიკური და სადაზღვევო მედიცინის განვითარებას. საჭიროა შეიქმნას განათლების მთლიანი კონცეფცია, მისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა და მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების უზრუნველყოფა.

საშუალო ფენა ერის, სახელმწიფოს სულიერ და მატერიალურ სხეულს უნდა წარმოადგენდეს, ამდენად მასთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დონიდან და პოზიციიდან უნდა განიზომებოდეს. გამომდინარე აქედან, აქტუალურია აღნიშნული პრობლემის განმაპირობებელ ფაქტორთა პოლიტიკურ სპექტრში გააზრება. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ძლიერი საშუალო ფენა, რომელიც ერის სულიერ და ფიზიკურ განვითარებას სახელმწიფოებრივ რანგში აიყვანს.

აუცილებელია ეროვნული მეცნიერების მიღწევების დაპატენტება მსოფლიოს მასშტაბით, სახელმწიფო ხარჯებით.

მთავარი მიზანია, ასევე დღეისათვის აუცილებლობა იმისა, რათა ახალი საუკუნის ადამიანები გავათავისუფლოთ ე. წ. „ეკონომიკური ადამიანის" შეზღუდული მენტალური მოდელისაგან, რამეთუ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება თავის თავში მოიცავს გაცილებით მეტს, ვიდრე ეს ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტაა. იგი ძირითადად სოციალური, ფსიქოლოგიური, კულტურული და პოლიტიკური პრობლემაა. ამ მხრივ კი, ასევე ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ქვეყანაში ახალი ეკონომიკური რეფორმისტული პროგრამების შემუშავება და დანერგვა, როგორიცაა: ინსტიტუციონალური რეფორმა, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაცია, ფასების რეფორმა და საწარმოების პრივატიზაცია-რესტრუქტურიზაცია, ასევე ღია ეკონომიკის განვითარება, ფიზიკური და ადამიანური რესურსების აკუმულირება და ტექნოლოგიური განვითარება.

სულიერი ეროვნული კულტურის განვითარება უმჭიდროვეს კავშირში უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან. უაღესად მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურის ორიენტაციის საკითხი, რათა ქართველმა ერმა ნათლად შეიცნოს თავისი თავი და მისი ადგილი მსოფლიო კულტურაში.

- ***სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ასევე გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ე. წ. „გლოკალიზაციისა" და სხვა თავდაცვითი „საცრელი ფილტრების" - სპეციალური არეალების დაცვის მექანიზმების დანერგვა-განვითარება, რათა თავიდან იქნას აცილებული გლობალიზაციისაგან შესაძლო პოტენციური საშიშროება. ჩვენი ქვეყანა უნდა მოერგოს გლობალიზაციის პროცესს და იგი იყოს სასარგებლო და პროგრესული ჩვენი ქვეყნისათვის. სახელმწიფომ უნდა იღვაწოს, რათა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას: 21-ე საუკუნისახალი ცოდნის საზოგადოება, ახალი ლიდერები; ახალი სამთავრობო პოლიტიკა; ახალი მსოფლიო ეკონომიკა: მიკროელექტროტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა, ტელეკომუნიკაცია, ხელოვნური მასალები და ბიოტექნოლოგია; ახალი მართვის ხელოვნება, ქართული ინოვაციების სახეობები; ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა - ე. წ. „საბსიდიარობა" ანუ დეცენტრალიზაცია; სოციალური უსაფრთხოების ბადეები და ახალი სოციალური სექტორი.***

დასკვნითი ნაწილი

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას" დასახული მიზნების მისაღწევად სურს მჭიდრო თანამშრომლობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სახელისუფლებო, პოლიტიკური ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და ცალკეულ მოქალაქეებთან.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" თავისი სამოქმედო პროგრამით ძირეულად იზიარებს და ეყრდნობა ჭეშმარიტი ეროვნული იდე ოლოგიის საფუძვლებს და მიიჩნევს, რომ აუცილებელია იბერიულ-კავკასიური მსოფლმხედველობის, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული იდეოლოგიის აღორძინება და დამკვიდრება საქართველოში.

ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ ხელი უნდა შეეწყოს რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალზე საშური შეიქმნება, რადგან უაღრესად გამძაფრებული პოლიტიკური, ეთნიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავებამ შესაძლოა კატასტროფა მოაახლოოს. ჩვენ აუცილებლად უნდა ავიცილოთ იგი.

სახელმწიფო უნდა იბრძოდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, სახელმწიფოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, მისი მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის. მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით. აღიარებულია, რომ არ არსებობს ადამიანის სამართალი. სახელმწიფოს კი აუცილებელია ჰქონდეს შეფარდებითი სამართალი, რომელსაც საფუძვლად დაედება სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება. დრო სწორედ სულიერ ღირებულებებს ვერ ხელყოფს, რადგან მისი დაგროვება და სრულყოფა ხდება მხოლოდ დროში.

მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

სახელმწიფოს კეთილდღეობა უმაღლესი კანონია და მისთვის თავდადებული ზრუნვა ყოველი ეროვნული ღირსების მქონე ადამინისათვის აუცილებელი და საჭიროა. ეროვნული ღირსების იდეა ერისა და ეროვნებების ძირითადი მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს, რითაც უნდა მოხდეს ხელმძღვანელობა როგორც თეორიულ მსჯელობაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსების ამაღლება – ერის, სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური განვითარების გარანტი უნდა იყოს.

საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს ქართველი ხალხის უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს. დიდი მიზნების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს. გამარჯვების გარანტი სწორად საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი, ეროვნულ-სარწმუნოებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

საქართველომაც პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

წ ე რ ი ლ ი - მ ი მ ა რ თ ვ ა
მსოფლიოს თანამეგობარ სახელმწიფოთა ხელისუფალთ და მესვეურთ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ორგანიზაციებს

მოგეხსენებათ, ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. მსოფლიო პროცესები იმდენად დაჩქარებულია, რომ უახლოეს ხანში ამ წინააღმდეგობათა მოუგვარებლობა უაღრესად ზრდის საყოველთაო კატასტროფის შესაძლებლობას.

მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის მყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო, მაგრამ მარტო პროგრესული, დემოკრატიული აღმშენებლობის სურვილი საკმარისი არ არის ქვეყნის ეროვნული აღორძინებისათვის, მას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორად წარმართვამაც, რომელიც ამ სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ევოლუციურად აღმავლობაში მყოფი მისივე ბუნებიდან გამომდინარეობს და სარგებლობს როგორც სახელმწიფოს მკვიდრი ხალხის, ასევე მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საყოველთაო მოწონებით.

ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც დამყარებული იქნება სამართლიანობისა და კანონიერების ბაზაზე და მომავალში სახელმწიფოთა და ერების ისტორიული მეხსიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩატეხილი ხი-დების'' გამთელების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს.

სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, სიყვარულისათვის, მემკვიდრეობის დატოვება–გაგრძელებისათვის, სწავლისა და ზრდა-განვითარებისათვის ბრძოლამ დღეს მოითხოვა ადამიანის ახალი პარადიგმის აუცილებლობის შეჰქმნა: გულისხმიერად მოქცევა, შემოქმედებითად გამოყენება და საზოგადოებისათვის პატიოსანი სამსახური დადგა დღის წესრიგში. ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი დაბალი იერარქიიდან მაღლისაკენ: წინააღმდეგობა-აჯანყებიდან, ბოროტი დამორჩილებიდან და საკუთარი სურვილის დათმობიდან ხალისიან თანამშრომლობამდე, გულსავსე ვალდებულებამდე და შემოქმედებით აღტკინებამდე.

ჩვენი თავის უკეთ შეხსენებისათვის, ასევე მოგახსენებთ:

როგორც მსოფლიოს საზოგადროებრიობისათვის არის ცნობილი, ვინაიდან გასული საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კანონიერი გზით არ გაუქმებულა, საქართველოს კანონიერ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, არ არსებობდა საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობაში შეყვანის სამართლებრივი საფუძველი.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანომ – უზენაესმა საბჭომ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით გამოაცხადა 1921 წლის თებერვალში საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

1991 წლის 21 დეკემბრიდან დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის ცნობა და საქართველოს ტერიტორია, მისი ფარგლები განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიისა და, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის საფუძვლად აღიარებულია საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკებთან საქართველოს სსრ-ის ადმინისტრაციული საზღვრები. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გაერო-ს, საერთაშორისო თანამეგობრობისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულად და ფაქტობრივად აღიარებულ იქნა მის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

მაგრამ ექსტრემისტული ძალები მალევე აწყობენ სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალებას, დევნიან კანონიერ ხელისუფლებას, ქვეყანაში იწყებენ ტერორსა და ძალადობას.

ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოში 1991-93 წლების შეიარაღებული, სისხლიანი სახელმწიფო, სამხედრო გადატრიალების გზით დაამხეს კანონიერი ეროვნული, სახალხო ხელისუფლების ყველა შტო და შესაძლებლობა მოუსპეს ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და განვითარების მიმართულებით, დაამკვიდრეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახალხო კრიმინალური, ნომენკლატურული რეჟიმი.

საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას სათანადო გეზს აძლევდა გეოპოლიტიკური ტენდენციები და მათ განსახორციელებლად შემუშავებული ქვეყნის შიდა თუ გარე სქემები.

გადატრიალებამ ამ მხრივაც ძირითადი სამართლებრივი ბაზაც გამოაცალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას.

1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ დაარღვია ზემოთაღნიშნული მოწესრიგებული მდგომარეობა, გაუქმდა და არ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს დამოკიდებულობას საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს – ე. წ. „სამხრეთ ოსეთის'' ხელისუფლებას შორის, რისი ერთ-ერთი ძირითადი შედეგიც არის 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეული ტერიტორიების შემდგომი ფაქტობრივი დაკარგვა და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების აზრის საწინააღმდეგოდ რუსეთის მიერ ცალმხრივად აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" „რესპუბლიკების'' დამოუკიდებლობის ცნობა..

ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან, ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და დღესაც არ ძალუძთ ლეგიტიმურობაზე დაბრუნება.

1991-1993 წლების შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა, სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასობრივ დარღვევებს, დაამკვიდრა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება, ან სულაც უარი ათქმევინა მას კანონის უზენაესობის პრინციპზე. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და, ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც. ცხადია, შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძვლად ძალადობის მიჩნევა, რამაც მრავალ უკიდურესობას მისცა გასაქანი.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ XX საუკუნის საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლას თავისი ისტორია აქვს და იგი დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელთან, რომლის თაოსნობით 1976 წელს შეიქმნა „ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის" ხელშემწყობი ჯგუფი, რომელიც თავს დამტყდარი დევნისა და რეპრესიების მიუხედავად განაგრძობდა ადამიანის უფლებათა დაცვას და მსოფლიოს ინფორმირებას საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ ასევე იმედობნებს, რომ სრული მხარდაჭერა ექნება ფორს-მაჟორულ სიტუაციაში საერთაშორისო თანამეგობრობისაგან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სახელისუფლებო ორგანოებისგან. რამდენადაც უახლესმა ისტორიამ დაგვანახა, რომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ შეიძლება გახდეს პოლიტიკური დევნის საგანი.

„საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის" საქმიანობა თავიდანვე წარმოადგენდა საქართველოში მანამდე არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას და უფრო ფართო მასშტაბით გაშლას. კერძოდ, ჯგუფის მიზანი იყო „ჰელსინკის შეთანხმების" აქტის პოპულარიზაცია, თვალყურის დევნება, თუ როგორ სრულდებოდა ეს ხელშეკრულება საქართველოში, როგორ ხორციელდებოდა მისი ჰუმანიტარული პუნქტები. 1989 წლის მაისიდან „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი" გაიზარდა და გარდაიქმნა „საქართველოს ჰელსინკის კავშირად", ხოლო ოქტომბერში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებად" (შემოკლებულად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი”). კავშირის სახელწოდებას დაემატა მისი მიზანი, რასაც ისახავდა ორგანიზაცია – „ეროვნული აღორძინება”.

ამრიგად, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” არის თანამოაზრეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შეჰქმნილი „ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის" ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა” და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. კავშირი მიიჩნევს, რომ ამ პრინციპებიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს.

კავშირი პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

კავშირი იბრძვის ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, საქართველოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

კავშირი, დასახული მიზნების მისაღწევად, ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და საშინაო სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის დეპარტამენტებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" მხარს უჭერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირების დასკვნით აქტებსა და მასალებს. ადამიანის უფლებებსა და ძირითადი თავისუფლებების დარგში მოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო საერთაშორისო დეკლარაციის მიზნების, დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად, ეყრდნობა ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო აქტებს.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" ამოცანაა ასევე, ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა.

კავშირის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ასევე ქვეყანაში ახალი ეკონომიკური რეფორმისტული პროგრამების შემუშავება და დანერგვა, როგორიცაა: ინსტიტუციონალური რეფორმა, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ფასების რეფორმა და საწარმოების პრივატიზაცია-რესტრუქტურიზაცია, ასევე ღია ეკონომიკის განვითარება, ფიზიკური და ადამიანური რესურსების აკუმულირება და ტექნოლოგიური განვითარება კავშირი იღვაწებს, რათა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას: 21-ე საუკუნის ახალი ცოდნის საზოგადოება, ახალი ლიდერები; ახალი მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა; ახალი მართვის ხელოვნება, ქართული ინოვაციების სახეობები; ახალი რეგიონალური პოლიტიკა – ე. წ. „საბსიდიარობა" ანუ დეცენტრალიზაცია; სოციალური უსაფრთხოების ბადეები და ახალი სოციალური სექტორი. კავშირი იწყებს ბრძოლას სახელმწიფოს ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი სიძლიერისათვის, კრიმინალის, კორუფციის, სიღატაკის, უსამართლობის, გულგრილობის, უცოდინარობის, უსულგულობის დასამარცხებლად და მისი მთავარი მიზანია გამარჯვება, რომელიც ჩვენი შვილების მომავალს ეძღვნება.

კავშირი დასახული მიზნების მისაღწევად მჭიდროდ თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებასა და პროგრამას.

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებისათვის ბრძოლა ხომ მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ქართველ ჰუმანისტთა მთელი პლეადა, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის მყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო, რადგან თუ ის სახელმწიფოა, მაშინ სწორედ მან უნდა შეუწყოს ხელი პიროვნების გათავისუფლებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვით.

XX საუკუნის უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში განვითარებულმა მსოფლიო პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა წარსულს ჩააბარეს დრო, როდესაც იმპერიას შეეძლო ცინიკურად და ქედმაღლურად გაეთელა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. იმთავითვე უაღრესად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა 1975 წლის ზაფხულში ფინეთის დედაქალაქში დაწყებული პროცესი. მას ხელი უნდა შეეწყო ადამიანის უფლებათა რეალიზაციისათვის ბარიკადების ორივე მხარეს – დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. მისი კეთილშობილი საქმიანობის შთამბეჭდავ შედეგებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბოლოო ჯამში იგი იქცა ერთადერთ საერთო ევროპულ ინსტიტუტად, რომელმაც „ცივი

ომის" დამთავრებას მიაღწია. უკვე არსებული ევროპული ოფიციალური ორგანიზაციებისაგან „ჰელსინკის მოძრაობას" მუდამ ჰქონდა და დღემდისაც შემოინარჩუნა კლასიკური ანტიბიუროკრატიული ხასიათი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას" შემუშავებული აქვს კონკრეტული საკანონმდებლო პროექტები, რომელშიც ცხადია რელიეფურადაა წარმოდგენილი საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული მუხლები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისა, რომლის აღსრულებისათვის ჩვენი ორგანიზაცია მაქსიმალურ ძალისხმევას გაიღებს, რადგან იგი პატივს სცემს კონსტიტუციურ კანონს და ადამიანურ მოვალეობას.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" იყო არის და მომავალშიც სურს იყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხებში მებრძოლი რეალური ძალა.

კავშირი 1976 წლიდან არის „საერთაშორისო ამნისტიის" (ცენტრი-ლონდონში) წევრი, 1990 წლის 22 სექტემბრიდან არის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშირისო ასოციაციის" (IGFM-ISHR, მაინის ფრანსკფურტი) ასოცირებული წევრი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" მჭიდროდ თანამშრომლობდა და კვლავაც სურს გააფართოვოს ურთიერთობები აშშ-ს სამართალდამცავ ორგანიზაცია „ჰიუმან რაითს ვოთჩთან", რუსეთის საზოგადოება „მემორიალთან", დიდი ბრიტანეთისა და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფებთან, ფინეთის პარლამენტის ე. წ. „საქართველოს ჯგუფთან", პატიმართა უფლებების დამცავ ორგანიზაცია „საერთაშირისო ამნისტიასთან" (ინგლისი) და ა.შ.

ყოველივე ეს და არაერთი სხვა მასალა თვალნათლივ ადასტურებს კავშირის საერთაშორისო სტატუსსა და ავტორიტეტს.

ახალი რეალებიდან გამომდინარე,

1. ვთვლით, რომ დროა ბოლო მოეღოს ყოველგვარ პრობლემებსა და დაბრკოლებებს, რათა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებამ", როგორც ყველა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა ორგანიზაციებმა, მათ შორის სახელმწიფოთა „ჰელსინკის კომიტეტებმა", კვლავ აღიდგინონ ჩვეული ფორმა, აღორძინდნენ და აღიდგინონ თავიანთი აღიარებული და ჩვეული ფუნქცია.

ვგრძნობთ რა ჩვენს ვალდებულებასა და შესაძლებელ ძალას, ვაცხადებთ მზადყოფნას და უდიდეს სურვილს ყოველივე ზემოთთქმულში, ყველა შესაბამისი ფუნქციის მქონე ორგანიზაციათა ურთიერთშორის მუდმივი და უცილობელი კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებაში, რომელიც დადასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნებისა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესში, რისთვისაც ყველას ვთხოვთ შესაბამისსა და შესაძლო კონსულტაციებსა, თუ დახმარებებს ჩვენნაირი, უხუცესი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ორგანიზაციის აღორძინებასა და სრული ძალით ამოქმედებაში;

2. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" შემოდის თქვენს წინაშე ინიციატივით უახლოეს, ყველასათვის მისაღებ დროს, ნებისმიერ ერთობლივად შერჩეულ ადგილას, თუნდაც საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ჩატარდეს „ახალი მსოფლიოს ფორუმი" – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის არსებული „ჰელსინკის ორგანიზაციების" წარმომადგენელთა „მსოფლიო ფორუმი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებში", საერთო, ერთობლივი ღონისძიებების, ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი მოქმედებების შემუშავების მიზნით. მნიშვნელოვანია, დროულად დაიწყოს მსჯელობები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები;

3. შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვანია ფორუმში მონაწილე სახელმწიფოთა როლიც. მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს: აზრის, სინდისის, რელიგიისა და შეხედულებათა თავისუფლებების ჩათვლით ყველასთვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა. სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ და განავითარებენ სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებების ეფექტურ განხორციელებას, რომელნიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების ღირსებებიდან და არსებით პირობას წარმოადგენენ მისი სრული და თავისუფალი განვითარებისათვის. მონაწილე ქვეყნები ამით აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემაც არის არსებითი ფაქტორი მშვიდობისა, სამართლიანობისა და კეთილდღეობისა, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. ამით ისინი აღიარებენ პიროვნებათა უფლებებსაც საკუთარ უფლებამოვალეობათა ცოდნისას ამ სფეროში და მათ შესაბამისად მოქმედებას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში მონაწილე ქვეყნები იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მიზნებისა და პრინციპების, ასევე ადამიანის

უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად. ამასთან შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს იმისდამიხედვით, თუ როგორ არიან ისინი დადგენილნი საერთაშორისო დეკლარაციებში და შეთანხმებებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების ჩათვლით.

მონაწილე ქვეყნებმა ასევე პატივი უნდა სცენ ერთაშორის თანასწორობას და მათ უფლებას. აგრეთვე უნდა იმოქმედონ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, იმ ნორმების ჩათვლით, რომელნიც ეხება სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას. მონაწილე ქვეყნები ამით დაადასტურებენ ერთა თანასწორუფლებიანობის საყოველთაო მნიშვნელობას, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემას და ეფექტურ განხორციელებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის; ისინი ყოველივეთი შეახსენებენ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობას, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით;

4. „ახალი მსოფლიოს ფორუმის" მონაწილეთა ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაუყარონ თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მიზანი იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

კავკასიური ერთობის შესაქმნელად, რომლის საფუძველი იდეაში ყოველთვის არსებობდა, საჭიროა მკაფიო და მკაცრი, თანმიმდევრული მსოფლიო პოლიტიკური კურსის შემუშავება, რაც საჭიროების შემთხვევაში როგორც კავკასიური სახლის, ასევე მსოფლიოს დამცველ მექანიზმად ამოქმედდება.

ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივე მხრივ უნდა წარიმართოს. გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც იმპერიულ ძალებს საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს; „ახალი მსოფლიოს" პროცესივე უნდა იქცეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ერთა თვითგამორკვევის გარანტად, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით განუყოფელია საზღვრების ურღვევობის ფუძემდებელი პრინციპებიდან;

5. ვინაიდან, საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული, რელიგიური თავსებადობა და რომ ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდი–გვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები.

ვინაიდან, საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას კი თავის დროზე ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენს.

ვინაიდან, საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

ამიტომაც დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს, როგორც კავკასიური ახალი კონტინენტალური რეგიონის ცენტრალურ სახელმწიფოს, როგორც მსოფლიოში მშვიდობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვის, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობის შესაძლო გარანტს, ჯერ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ელის – იგი შეიძლება იყოს და უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს, ყველა რელიგიურ სამყაროთა შორის, რაც, ერთის მხრივ მისი ოდინდელი მსოფლიო ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება და ამავე დროს ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო უსაფრთხოების მხრივ ახალი გარანტიების შექმნას.

საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი;

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" თავის ერთმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მიერ რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალზე საშური შეიქმნება, რადგან უაღრესად გამძაფრებული პოლიტიკური, ეთნიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავებამ შესაძლოა კატასტროფა მოაახლოოს. ჩვენ კი, აუცილებლად უნდა ავიცილოთ იგი;

6. მსოფლიოს ქვეყანათა სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში.

7. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი ახალი მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების წყობა, რომლის დროსაც, მთელს მსოფლიოში, დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ხალხის ხელისუფლების საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებული იქნება ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.

სახელმწიფოთა სამართლებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისათვის ასევე აუცილებელია:

უნდა მოხდეს სრული, ჭეშმარიტი თანხმობა და შერიგება სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც საჭიროა დაფიქსირდეს როგორც სახელმწიფოთა ძირითად კანონში - კონსტიტუციაში, ასევე სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებში და იგი უნდა წარმოადგენდეს ერთადერთ სავალდებულო პოზიციას სახელმწიფოთა ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებისათვის;

სასურველია შემუშავდეს, მომზადდეს და რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნას სახელმწიფოთა ახალი სახელმწიფოებრივი კონსტიტუციები, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრება ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობა და კანონის უზენაესობა და იქნება გარანტი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულებათა ნამდვილობისა და უწყვეტობისა.

თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად გადასინჯული იქნას ყველა ის ხელშეკრულებანი, რომლებმაც განსაზღვრული დაბრკოლებები შექმნა სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის განვითარების სფეროებში.

ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით სახელმწიფოების მიერ ხელი უნდა შეეწყოს რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალზე საშური შეიქმნება, რადგან უაღრესად გამძაფრებული პოლიტიკური, ეთნიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავებამ შესაძლოა კატასტროფა მოაახლოოს. ჩვენ აუცილებლად უნდა ავიცილოთ იგი.

სახელმწიფო უნდა იბრძოდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, სახელმწიფოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, მისი მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის. მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი

უფლებანი, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით. აღიარებულია, რომ არ არსებობს ადამიანის სამართალი. სახელმწიფოებს კი აუცილებელია ჰქონდეს შეფარდებითი სამართალი, რომელსაც საფუძვლად დაედება სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება. დრო სწორედ სულიერ ღირებულებებს ვერ ხელყოფს, რადგან მისი დაგროვება და სრულყოფა ხდება მხოლოდ დროში.

მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში სახელმწიფოთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, მათი ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ყველა სახელმწიფოთა ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

სახელმწიფოს კეთილდღეობა უმაღლესი კანონია და მისთვის თავდადებული ზრუნვა ყოველი ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირსების მქონე ადამინისათვის აუცილებელი და საჭიროა. ეროვნული ღირსების იდეა ერისა და ეროვნებების ძირითადი მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს, რითაც უნდა მოხდეს ხელმძღვანელობა როგორც თეორიულ მსჯელობაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსების ამაღლება – ერის, სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური განვითარების გარანტი უნდა იყოს.

უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!

სიცრუეს შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!

უკანონობას შეიძლება მოვერით მხოლოდ კანონით!

Letter-notise
the world collaborator countries governors and leaders, Human Rights and Fundamental Freedoms organizations

As you know, the development of civilization is in the phase when the advanced countries are jointly trying to solve universal problems. The high consciousness of humanity, civic tolerance, guaranteed protection of the rights of citizens, should always be a solid base of statehood, without which no country can develop and become a firmly established state. Today, many things from our intellectual arsenal require legal correction, the spiritual values need to be re-evaluated urgently and without delay. Struggle for life, existence, survival, love, tradition of legacy, learning, growing and developing have now required the creation of a new human paradigm: acting with consideration, creativeness and honest service to the public have been placed on the agenda. A person should make a choice and move up the hierarchy: from resistance, revolt, obedience and giving up one's own will to joyful cooperation, full-hearted commitment and creative excitement.

To remind you of ourselves better, I'll tell you that in the 20th century the fight for human rights has its history in Georgia and it is related to the name of the president of the Republic of Georgia Zviad Gamsakhurdia, under whose leadership in 1976 the "Helsinki Agreement" supporting group was founded and regardless of persecution and repression continued protecting human rights and informing the world about the ongoing difficult situation in Georgia.

"The Helsinki Union of Georgia - National Regeneration" - a social-political community of like-minded individuals, is a successor and continuer of activities and traditions of "Helsinki union" supporting group founded by the first president of the Republic of Georgia, Mr. Gamsakhurdia in 1976. Afterwards it became the "Helsinki union of Georgia" and, later, the "Helsinki Union of Georgia - National Regeneration" formed as a result of its transformation as a socio-political organization. Fundamental principles of the "Union" are the protection of human rights and fundamental freedoms. Based on these principles the "Union" believes that putting human economic, cultural, religious, national, civil and political rights into practice is the basis for ensuring human dignity and its legal realization – freedom, justice and peace – in the world, building democratic and legal states and their peaceful cooperation.

The "Union" respects the equality of nations, their being in charge of their own fate; it backs the civilized peaceful policy of avoiding military conflicts, separation and confrontation.

The "Union" fights against any violation of human rights, political, economic, social and ecological disaster, to stop demographic expansion in order to ensure all basic rights determined by the norms of international law.

"The Helsinki Union of Georgia - National Regeneration" supports the final acts and materials of the meetings of the European Security and Cooperation. In the field of human rights and fundamental freedoms it acts according to the United Nations Charter and the objectives, provisions and principles of the Universal Declaration of Human Rights and is
based on international acts of human civil and political rights.

Fundamental principles of the activity of "The Helsinki Union of Georgia - National Regeneration" clearly lead

us to the future, where the criteria for success will be the hard work, talent, and service, where the most important will be opportunity, responsibility and social solidarity.

The "Union"'s fundamental principles are also the development and implementation of new economic reformist programs in the country. The "Union" is working to create society with new 21st century's knowledge, new leaders, new world politics and economy, the art of new management, Georgian innovation types, the new regional policy - so-called 'subsidiary', ie decentralization, social safety nets and new social sectors.

To achieve the goals, the "Union" is working closely with international human rights and local law organizations, political parties, unions, state embassies, mass media and citizens.

Currently, under the leadership and support of "The Helsinki Union of Georgia - National Regeneration the non-governmental organization "Caucasus Regional Union of Human Rights Watch" " has been restored and started operating on a larger scale. Having a regional Caucasus status and following its tasks and goals it greatly desires to broaden cooperation with all the worlds's leading various organizations for human rights and fundamental freedoms.

"The Helsinki Union of Georgia - National Regeneration" was, is and will continue to be a real fighter for human rights and fundamental freedoms.

Since 1976 it has been a member of the " International Amnesty" (headquarter in London), since September 22, 1990 – an associate member of the "International Association for Human Rights Watch" (GFM-ISHR, Mein Frankfurt) .

"The Helsinki Union of Georgia - National Regeneration" has closely cooperated and will continue to broaden its relations with the USA "Human Rights watch", Helsinki groups in Great Britain and Finland, prisoners' rizhts defending organization "international Amnesty", etc.

All these and a number of other materials clearly show the international status and authority of the "Union". Stemming from the new reality:

1. We believe that it is time to put an end to all the problems and obstacles that will enable "The Helsinki Union of Georgia - National Regeneration" and" Caucasus Regional Union of Human Rights Watch" as well as all the organizations of human rights .and fundamental freedoms, including the "Helsinki Committees" of different states, to restore their usual fonn as well as recognized and usual function.

Feeling our obligations and possible power, we proclaim our readiness and great willingness to deepen permanent and unassailable relation and interdepeadencewith similar organizations; and we ask everyone for consultations and assistance to restore and make the old organization of human rights and fundamental freedoms like us fully functional.

2. "The Helsinki Union of Georgia - National Regeneration" initiates to conduct "Free World Forum" at a reasonable time for everyone, in any jointly selected location, even in Tbilisi, the capital of Georgia, to assemble the representatives of international organizations of Human Rights and Fundamental Freedoms, including the acting "Helsinki organizatlons'", "Free world forum for Ute issues of human rights and fundamental freedoms and world security" for the purpose of elaborating the common, joint measures, establishing the relationships and planning further activities. It is important to start discussions on tbe issue and take appropriate measures at the right time.

3. The role of the states participating in the forum is also important along with the respective international organizations. The participating countries should respect human rights and fundamental freedoms: including freedom of thought, conscience, religion and belief for everyone regardless of race, sex, language or religion. The states should promote and encourage the effective implementation of civil, political, social, cultural, etc. rights and freedoms, which are derived from the human's dignity and are essential conditions for its full and free development. By that the participating countries would recognize the universal significance of buman rights and fundamcntal freedoms, respect for which is an essential factor for peace, justice and prosperity, for the development of friendly relationship and partnership. By doing so they recognize the individuals' rights knowing their own rights and obligations and respective action.

We hope, that the countries participating in this field of human rights and fundamental freedoms, will act according to the UN charter, purposes and principles, as well as the Universal Declaration of Human Rights. At the same time, they'll implement their duties depending on how they are established in international declarations and agreements, including the international pacts of the human rights.

The participating countries should respect inter-ethnic equality and rights and act in accordance

with the international law, including the provisions relating to territorial integrity of states. By this the participating countries affirm the universal importance of inter-ethnic equality, respect and effectively implement the right of nations to be in charge of their own destiny, which is of great importance for the development of friendly interdependence among the states. By evcrything they also remind each other to exclude the violation of this principle in any form.

4. Historical mission of the participants of the "Free World Forum" is to lay ground for a new institute,

whose supreme goal is to protect the. collective security of the world, along with the human rights. The new situation will dramatically increase the role of the same process to control the implementation of international agreements.

The urgency is also given to objectively studying the real causes of conflicts arising on national ground, which won't allow the imperial forces to give a permanent character to the ethnic conflict due to their selfish interest. The

process of "the free world" should become a guarantor for rights of minorities and self-determination of nations, which according to international law, is inseparable from the fundamental principles of the inviolability of borders.

5. Whereas The history of Georgia clearly demonstrates that the national and religious compatibility has always been characteristic of the Georgian phenomenon and in our country different nations, representatives of different political and refigious views have been living side-by-side without ethnic and religious conflicts over the centuries; Whereas because of its geographical location, due to the firm state and cultural traditions characteristic of an old nation, Georgia has always managed to export the advanced thought and culture in kindred neighboring tribes purposefully and this phenomenon bas always had a fertile ground - Ibero-Caucasian world which has always been a poly-ethnic as well as united geo-political, cultural, economic space of the unique ancient civilization, a crossroad for the west and east, north and south.

Whereas Despite the religious verities of Caucasian neighbors, historically Georgia has always had the sense of belonging to the whole Caucasian world of common origin, of biogenetic kinship, of common mentality arisen from the national depths combining different from each other neighboring civilizations, cultural, moral and ethical values.

Therefore we are confident that, Georgia as a Caucasian core state of a new inter-continental region, as a guarantor for protecting the world's peace, justice, human rights and freedom for international political, social, economic, cultural equality and unity, has a significant task ahead - it can and should become a mediator state between the East and the West for all the religious worlds. This task will return its old world-historical mission to Georgia, and at the same time, will create new guarantees to promote and protect human rights, fundamental freedoms, and world security.

It is important if the "Free World Nations Assembly" for the security, national cultures, protection of rights and fundamental freedoms will be located and based in Caucasus, particularly in Georgia, since Georgia, as a country of the "Caucasian House" and due to its historical and geopolitical importance and 'national spirit, can partake in the divine actto undertake the role of a guarantor for international peaceful relations and cooperation.

Based on the foregoing traditions of the coexistence of nations, the unequivocal task of "The Helsinki Union of Georgia - National Regeneration" is to ensure religious identity protection by the state. Putting these principles of interoperability into practice should become one of the important features of the Georgian statehood (all the more so that protection principles of ethnic, cultural, linguistic and religious identities of minorities have the power of constitutional law), that will become a guarantor for its international authority. The solution of this problem will be very significant, as highly intensified political, ethnic relations can deteriorate the situation. But we definitely need to avoid it.

6. Stemming from the new reality, in order to raise and restore the level of statehood of the world's countries, it is desirable to refine the acts of international treaties concerning the protection of human rights, fundamental freedoms and the ensuring of the world's collective security that will allow the states and peoples to live in a peaceful, developing environment of the world commonwealth and mutual respect. Political forces in the world should have a permanent and necessary connection and interdependence between political events.

7. True order of political relations compliant with the new, free world should be formed, which establishes and puts into effect the means and forms of people's government, which will be strengthened within the laws offreedoms and equality of country's citizens.

Injustice can be defeated only by justice!

Falsehood can be defeated only by righteousness! Illegality can be defeated only by legality!

Гражданское политическое обьединение "Хельсинский союз Грузии - национальное возрождение" Письмо-обращение к мировым государственным организациям защиты свободы и прав человека

Известно, что развитие цивилизации вошло в ту фазу, когда передовые страны совместно стараются решить общечеловеческие проблемы. Для нового правления мира особенно важно рассмотреть проблемы заново дать им новое направление. Мировые процессы настолько растут ускоренным темпом, что недалёком будущем из-за нерещённых проблем может возникнуть катасрофа.

В мировом сообществе борьба за мир и свободу всегда была и сейчас является важнейшей задачей всего человечества. Осознание того, что гражданское спокойствие и гражданские гарантии прав человека должны состовлять твёрдый фундамент, без которого не может развиваться и не будет утверждена как государство ни одна страна, но для национального возрождения недастаточно только желание демократии и прогресса. Этому должно помочь правильное управление внутренных и внешных органов государств, которое исторически сформированно и эволюционно возрождено из его же природы и пользуется как для свободолюбивых народов государств так и для народов всего мира.

С позиции сегодняшнего дня многое подлежит исправлению, нужно пересмотреть и переоценить духовные ценности, которые будут основаны справедливой и законной базе и в будущем восстановят все разрушенные мосты. Борьба за жизнь, существование, спасение, любовь, наследие, учёбу и развитие требует создания нового человека: настало время время сердечных общений, творческого подхода и честного общественного труда. Человек должен сделать выбор с низшей иерархии к возвышению - от зависимости злых и личных желаний к жизнерадостному сотрудничеству, сердоболию и творческому воодушевлению.

Чтобы напомнить о себе, упомянем:

Как известно мировому сообществу государственная независимость Грузинской Демократической республики не была ликвидирована законным путём; законное правительство Грузии не подписалось под капитуляцией, не было оснований для вступления в СССР.

9 апреля 1991 года законодательным органом Грузии - Верховным советом - на основе референдума 31 марта было обявлено независимост республики и о возрождении потерянных территорий Грузии (февраль1921г.) С 21 декабря 1991 года началос признание Грузинской республики и её территорий. А это означает признание той административной единицы,которая существовала 21 декабря 1991 г. После расспада советского союза Организация Обьединённых Наций признала целостност Грузию в её административной границей. Но экстремистские силы быстро подготовили переворот. Преследовали законное правительство, в стране свирепствовал террор.

Сейчас уже известно, что в Грузии в 1991-93 г. г. было свергнуто законное национальное правительство, уничтожены все направления, чтобы активно быть включённым в политику для возрождения государства и основан антигосударственный и антинародный криминальный, номенклатурный режим.

Территориальная расчленённость Грузии брала направление из его геополитических тенденций и их исполнения во внутренних внешних делах страны. Переворот и с этой стороны уничтожил территориальной целосности Грузии.

Переворот 1991-93 г. разрушил вышеуказанное положение. Был уничтожен и не существовал

закон, регулировал независимость Грузинского государства, Абхазии и так называемой Южной Осетии. И это один из основных результатов фактической потери территорий вызванный русско-грузинской войной в августе 2008 г. и в противоречии цивилизованным странам признанием России независимости Абхазии и так називаемой Южной Осетии. Все эти невзгоды с 1992 г. исходят из разрушения легитимизации, и сегодня они не хотят возврашаться к этому вопросу.

Вооружённо-криминальный государственный переворот был основанием беззакония, разрушением единых государственных и территориальных границ, нарушением прав человека, утверждением культа силы, в большой части населения снизил уровень честности и вообще заставил отказаться от принципов Верховного законодательства. А это само собой восприпятствовало утверждению в Грузии справедливости, демократии и свободы, усилению независимости и развитию человечества.

Так же упомянем, что в Грузии XX века у прав защиты своя история, и она связана с президентом республики Грузии Звиадом Гамсахурдия, с помощью которого в 1976 г. организована группа для "Хельсинского договора", которая несмотря на преследования продолжала информировать мировое сообщество о сложившейся сложнои ситуации. Работа "Грузинской Хельсинской группы" и до этого представляла собой инициативную группу защиты прав человека и желала расширить свои масштабы. Целю группы бла популяризация акта Хельсинского соглашения, которому сегодня исполнилос 40 лет, наблюдение за тем процессом и пунктами, которые исполнялись в Грузии. В 1989 г . "Грузинская Хельсинская группа" выросла и превратилась в ''Грузинский Хельсинский союз", а в октябре в "Грузинский Хельсинский союз - национального возрождения". К названию союза добавилась его цель, которую ставила перед собой организация - " Национальное возрождение".

Так "Грузинский хельсинский союз - национальное возрождение" является единомислящим общественно-политическим обьединением,которое основал первый президент Грузии Звиад Гамсахурдия. Основными принципами союза являются защита прав и свободы человека. Союз считает, что исходя из этих принципов,претворяя в жизнь экономические, культурные, религиозные, национальные, гражданские и политические права человека являются обеспечением человеческого достоинства, его законной реализации и основанием мирного сотрудничества в строительстве демократических и правдивых государств мира. Союз уважает равноправие народов,способность управления собственным счастьем, поддерживает мирную политику, исключая вооружённые конфликты и конфронтации. Союз борется против нарушения прав человека, за возрождение территориальной целосности Грузии правительственного законодательства, против политических, экономических, социальных,экологических катастроф, за останавление демографической экспансии, за национальное согласие и единение, чтобы максимально обеспечить основными правами, которые определены международными правовыми нормами. Для осуществления целей союз всегда тесно сотрудничал с международными и внутренными организаиями по правам защиты человека, обьединениями, посольствами, департаментом массовой информации, отдельными гражданами.

"Грузинский Хельсинский союз-национальное возрождение" поддеррживает сотрудничество с европейской службой безопасности, в сфере прав человека действует устав ООН в соответствии международными целями и уставом и принципами прав человека, опираясь на международные акты политических и гражданских прав человека.

Задачей "Грузинского Хельсинского союза - национальное возрождение'' также является выявление максимального потенциала народа во всех сферах, защита национальных интересов, возрождение национальной самобытности, науки, культуры, утверждение общечеловеческой ценности, сохранение и развитие собственной иерархии, утверждение достойного места грузинского народа в мировой цивилизации. Деятелность основных принципов союза ведёт к будущему. Где критериум успехов является труд, талант и саможелание, где главное: возможность, ответственность и социальная солидарность. Также основными принципами союза являются разработка и внедрение новых экномических и реформистских программ: институциональная реформа, макроэкономическая стабилизация, реформа цен, приватизация и реструктуризация производства, также развитие экономики, аккумуляция физических и человеческих ресурсов и технологическое развитие.

Союз действует, так как в нашей стране в 21 в. должно образоваться новое общество, новые лидеры, новая мировая политика и экономика; новое искусство управления, виды грузинской

иновации, новая рациональная политика - так называемая децентрализация, социальные сети безапасности и новый социальный сектор. Союз начинает борьбу за сильную государственную экономику, политику и духовность, против криминала, корруфции, бедности, бесправия, хлоднокровя, необразованности, и его главная цель-победа, которая будет посвящена будущему наших детей.

Для достижения данных целей тесно сотрудничает с международными и местными организациями в борьбе за права человека, с партиями, обьединениями, посольствами стран,со средтвом массовой информации, отдельными гражданами, деятельность которых не противоречит уставу программе союза. Ведь борьба за права и свободу человека была и есть одна из задач передовой общественной мысли. Гражданское спокойствие, высшее сознание и защита правовых гарантий граждан разлучных стран, в том числе и грузинской гуманистской плеяды всегда должна представлять государственное твёрдое основание, без которого не сможет развиться любая страна и утвердиться как государство, но если это государство, то оно само должно поддерживать и защищать права и свободу личности. На протяжении последних 25 лет прошлого столетия сдвиги проищодящие в экономике и политике, каснули в прошлое, в те годы империя могла цинично и высокомерно уничтожать мировую общественную мисль. В очен затруднительном положении оказался процесс начавшийся летом 1975 г. в столице финляндии. Он должен был поддержать реализацию прав по двум сторонам баррикад - восток и запад. О впечатлительных результатах его блогородной деятельности говорит хотя бы тот факт, что в результате он превратился в единственный общий евроинститут, достиг окончания "холодной войны". У "Хельсинского союза" был и сегодня есть классический и антибюрократический характер.

У "Грузинского Хельсинского союза - национальное возрождение" разработаны конкретные законодательные проекты,которые представлены рельефно согласно международным правовым нормам, для исполнения которых наша организация приложит максимальные усилия, так как она уважает конституционный закон обязаностей человека. "Грузинский Хельсинский союз - нацинальное возрождение" есть и в будущем желает быть реальной силой в борьбе за защиту прав и свободу человека.

Союз с 1976 г. является членом "Международной амнистии" (Лондон), а с 22 сентября 1990 г. ассоцированным челном "Международной ассоциации по защите прав человека" (Франкфурт).

"Грузинский Хельсинский союз - нацинальное возрождение" тесно сотрудничал и вновь желает расширить связи с правозащитной организацией в США "Хюмон райс вотч", с русским обществом "мемориал" и "Хельсинский союз", с группами Великобритании и Финляндии, с организацией "Международная амнистия" (Англия) и т. д. Всё это говорит о международном статусе и авторитете. Исходя из реальности:

1. Считаем, что пора подвести к концу любые проблемы и препятствия, чтобы "Грузинский Хельсинский союз - нацинальное возрождение", как и все организации позащите прав и свобод человека, вновь преобрёл прежнюю форму, возродился и востановил свои прежние функции. Мы чуствуем наш долг и силу, обьявляем готовность и великое желание всего вышеупомянутого, готовы сотрудничать и углублять связи со всеми организациями, имеющими соответствующие принципы, которые утвердятся в процессе общения, для этого просим всех соответственных и возможных консультаций помощи от таких же старейших организаций по возрождению прав и свобод человека;

2. "Грузинский Хельсинский союз - нацинальное возрождение" предстаёт пред вами с инициативой в устраивающем для всех времени и месте, хотя бы в столице Грузии Тбилиси провести "Форум свободного мира" по вопросам о защите прав и свободы человека с целью укрепления сотрудничества. Главное вовремя начать обсуждения по этим вопросам и наметить соответсвующие мероприятия;

3. Вместе с международными организациями важную роль играет государство, принимающее участие в данном форуме. Странны участвующие должны уважать права и свободу, мысль, совест, религию, взгляд всех на свободу независимо от рассы, пола, языка и религии. Государства поддережат и дадут эффективное развитие политическим, культурным и другим правам, которые исходят от личного достойнства человека и являются существенным условыем для полного осуществления их развития. Страны участники признают возможность защиты прав и свободу человека, которая является существенным фактором мира, справедливости и благополучия, дружеской взаимозависимости и развития сотрудничества. Этим они признают права личности в сфере собственного правового знания и их соответсвенной деятельности. Надеемся,что страны принимающие участие в этой сфере, будут

задействованы Уставом, целями и принципами ООН, а также соответсвенно декларации прав человека. Этим они выполняют свой долг.

Страны участники также должны уважать права наций. Они должны действовать в соответсвии с международными нормами, которые касаются целосности государственных территорий. этим страны участники утвердят важность равноправия наций, управление собственным счастьем и эффективное развитие, важность которого и есть развитие дружеской взаимозависимости; они также напомнят друг другу о важности того, что нужно искоренить все формы нарушения этого принципа;

4. Исторической миссией форума является положить основание качественно новому институту, целью которого будет обеспечить вместе с правами человека и коллективную безопасность мира. В новой ситуации расширится роль этого процесса в сфере международного соглашения. Также неотложеной задачей является обьективное изучение реальных причин конфликтов, возникающих на национальной почве. Это не даст возможность империалистическим силам, исходя из эгоистических целей, дать етническим конфликтам перманентный характер;

5. История Грузии говорит о том, что для грузинского феномена характерно сочетание религиозного с национальным и в нашей стране на протяжении веков без конфликтов проживали рядом предстовители различных наций, политических взглядов и религий.

Грузия, несмотря на своё географическое расположение всегда целеустремлённо осуществляла экспортизацию мысли и культуры соседних родственных племён. Этому явлению соответствовала благодатная почва-существование иберийско-кавказского мира, который представляет собой полуэтническое, геополитическое, культурное и экономическое пространство древней уникальной цивилизации на перекрёстке запада и востока, севера и юга.

Грузия, несмотря на различных представителей кавказских соседних религий исторически всегда имела биогенетическое родственное чуство целосности кавказского мира, общий менталитет с отличающимся от неё цивилизациями, культурные, моральные и нравственные ценноести. Поэтому мы уверены, что Грузию, как новое центральное государство межконтинентального региона, как гарант мира, справедливости, защиты прав и свобод человека, межгосударственных, политических, социальных, экономических, культурных соглащений ждёт ещё одна особо важная задача - она может быть и должа быть государством медиатором между западом и востоком и среди всего регионального мира, что и будет восстановлением её исторической миссии и в тоже время создаст новые гарантии позащите прав и свобод человека.

Хорошо если на кавказе, в частности Грузии, будет расположена "Национальная ассамблея мира" так как Грузия, как страна "Кавказского дома", исходя из исторического и геополитического значения, в силах выполнить роль гаранта в целе мирного соглащения и сотрудничества государств.

"Грузинский Хельсинский союз - нацинальное возрождение" основываяс на вышеуказанные традиции, своей однозначной задачей считает защиту самобытности национальной религии. Превоpение этого принципа в жизнь должно стать для грузинского государства (ведь своя этническая, культурная,языковая и религиозная самобытность этнических меньшинств имеет свои конституционные права принципов защиты) гарантом международного авторитета. Решить эту проблему очень трудно, так как обострение и так тяжёлого политического этнического сотрудничества может привести к катастрофе. А мы обязательно должны избежать этого;

6. Для поднятия уровня государственности мировых стран в целях возрождения,исходя из новых реалий,желательно отшлифовать акты международных соглашенийпо правам дарства и народы жили в окружении спокойствия, развития и мирового сотрудничества и взаимоуважения. У мировы политических сил должны быть неизбежные связи и взаимозависимость, которая утверждается принципами познания природы и общества;

7. Надо сформулировать новый порядок свободных мировых политических отношений, во время которого во всём мире утверждены и претворены в практику средства и формы народов государств, которые будут укреплены в законах гражданской свободы и равноправия страны.

Несправедливость можно победить только справедливостью!
Ложь можно победить только правдою!
Беззаконие можно победить законностью!

ეროვნულ–სარწმუნოებრივი საკითხის სამართლებრივი გაგება

„ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძღვოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი"
ზვიად გამსახურდია

ცივილიზაციათა გასაყარზე, ეთნოსოციალური მეხსიერების ფორმირების საკითხისათვის, წარმართულ ცივილიზაციაში ქრისტიანობის გავრცელებამ ძირეული გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის მსოფლმხედველობაში, კულტურაში, ეთიკაში, პოლიტიკაში, მაგრამ ამ ყველაფერს წინ უძღოდა კაცობრიობის ცნობიერების შემოტრიალება ახალი სარწმუნოებრივი იდეალებისკენ.

წარმართული ცივილიზაციის ქრისტიანობასთან ურთიერთმიმართება, თავის თავში მოიცავს უდიდეს ძვრებს, რომლებმაც კაცობრიობის განვითარების ისტორია რადიკალურად შეცვალა და ეს ტრანსფორმაცია დღემდე გრძელდება.

ერის ეთნოსოციალური მეხსიერება ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობის შენარჩუნების საწინდარი და მისი შემადგენელი ნაწილია. თვით ეს ფენომენი კი საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანია. ერთის მხრივ, ის შესაძლოა გამოყენებულ იქნას ეთნიკური და ჯგუფური ზიზღის გაღვივებაში, ეროვნებათაშორისი დაძაბულობის აღმოცენებაში, მეორესმხრივ კეთილმეზობლობასა და ერებს შორის თანამშრომლობის გამყარებაში. ეთნოსოციალური მეხსიერების ასეთი წინააღმდეგობრივი გამოვლინება ამ ფენომენის ანგაჟირებულობითაცაა განპირობებული. არაჯანსაღი სახელისუფლებო სტრუქტურები, სხვადასხვა პოლიტიკური სოციალური დაჯგუფებანი ყოველთვის ისწრაფოდნენ საზოგადოებას თავს მოეხვიათ ისტორიული მეხსიერების საკუთარი გაგება, რომელიც ხშირ შემთხვევაში ტენდენციურია და არაფერი არ აქვს საერთო ისტორიულ რეალობასთან. ერის სოციალური მეხსიერება რთული და მრავალკომპონენტიანი მოვლენაა, რომელიც სავალდებულო პირობაა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისა, ეფუძნება დაგროვებას, შენახვას და სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ტრანსლირებას. ეთნოსოციალური მეხსიერება, როგორც ქვესისტემა სოციალური მეხსიერების, სპეციფიკური ფორმის აკუმულირებისა და სოციალურ-ეთნიკური გამოცდილების ტრანსლირებას განსაზღვრავს. ამ მეხსიერების შემადგენელ საფუძველს კი ერის კულტურული გენოფონდი შეადგენს, რომელიც თავისთავში მოიცავს ეთნიკური კულტურის ელემენტებს: ენა, ხალხური ხელოვნება, ერის მატერიალური კულტურა, ნაციონალური ჩვეულებანი და ტრადიციები, ხალხური ფილოსოფია და ტრადიციული აღზრდის სისტემა, ხალხის ეთიკა და რაც მთავარია რელიგია.

ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და შესაბამისად ადამიანის ეროვნულ–სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი არის ერის ენა და რელიგია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ახდენს აკუმულირებას ერის ეთნოსოციალურ მეხსიერებაში. ფრიად მნიშვნელოვანია ეთნოსოციალური მეხსიერების რელიგიური დატვირთვა. იგი ეროვნული თვითშეგნებისა და იდენტიფიკაციის ჩამომყალიბებელია, რადგან ერი არის ერთი ეთნიკური წარმოშობის მატერიალური და სულიერი კავშირის მქონე მკვიდრი მოსახლეობა, რომლის წევრებიც, გარდა ხორციელ-სულიერი ერთობისა, აგრეთვე ერთმანეთთან შედუღაბებულ-შეკავშირებულნი არიან ისტორიით.

ქართველი ხალხის ეთნიკური თვითშემეცნება კი სწორედ ამდაგვარად ყალიბდებოდა.

ეთნოსოციალური მეხსიერების მთავარი ფუნქციონალური მახასიათებელია ეროვნული თვითმყოფადობის, თვითიდენტობის შენახვა და გადაცემა. ერის სულიერი ხატების სისტემაში ეთნოსოციალური მეხსიერება წარმოადგენს ერთერთ ყველაზე რთულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ წარმონაქმნს, რომელიც ფენა-ფენა ილექება ენაში, კულტურაში, ჩვეულებებში, რიტუალებში, ფსიქოლოგიაში. ეთნოსოციალური მეხსიერება თავის თავს წარმოაჩენს მშობლიურ მიწაზე წარმოდგენებში, ეროვნული ინტერესების გააზრებაში, ერის დამოკიდებულებაში მატერიალურ და სულიერ ფასეულობებზე. ეთნოსოციალურ მეხსიერებაში ასახვას ჰპოვებენ როგორც გმირული, ასევე ისტორიის დრამატული მოვლენები, როგორც ეროვნული სიამაყე, ასევე ეროვნული წყენა. ხალხის სოციალური მეხსიერება ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა თაობათა პირადი გამოცდილების ჩარჩოდია

შემოფარგლული, მაგრამ ეთნოსოციალური მეხსიერების ცენტრში ეთნიკური კომპონენტის წინ წამოწევა მეტყველებს არა მის მეთაურობაზე, პირობითად რომ ვთქვათ, ამ ფენომენში ეთნიკური მეხსიერების სოციალურ მეხსიერებაზე, არამედ იმაზე, რომ გაცილებით უფრო მდგრადად და მტკიცედ გვევლინება ეროვნული მეხსიერების ეთნიკური მხარე.

არ არსებობს ისტორია, სადაც არ ყოფილიყოს სახელმწიფოთაშორისო ომები და ეროვნებათშორისი კონფლიქტები, უსამართლობა და წყენა, მაგრამ ცალსახაა, წარსულის მოვლენათა ანალიზი ნაციონალური ტოლერანტურობის პოზიციით უნდა განხორციელდეს. ეს, პირველ რიგში, კი იმას ნიშნავს, რომ თუ რა ისტორიული კონტაქტები ამდიდრებდა ხალხებს, აახლოებდა მათ და არა ის, რაც ყოფდა აშორებდა და ანსხვავებდა.

ჩვენი ღვთის ძეობა, სარწმუნეობის აღსარება, ეკლესიურობა არის კულტურა, რომლისგანაც ჩვენ დავალებული ვართ იმ ცხოვრების წესით, რომლის ჩარჩოებში ჩვენ ვიმედოვნებთ არა მარტო გადარჩენას, არამედ სრულფასოვან ცხოვრებას. ამავე დროს იგი არის ჩვენი კუთვნილება საკუთარ ხალხთან, რომელსაც თავისი ისტორიული გზა აქვს, რომლის შენარჩუნებაში, თუ შეცვლაში, ჩვენ ასე თუ ისე ვმონაწილეობთ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ეროვნულ–სარწმუნოებრივი, ზნეობრივი აღორძინების გარეშე და ყოველივე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას.

სწორედ ამიტომაც, ქართველი ერი მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან.

აქვე, ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი – ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობა, ეს არა სხვადასხვა, განსხვავებული, არამედ ერთიანი, თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველესყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით.

აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურმა, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა მთავრობამ (ხელისუფლებამ) უნდა იღვაწოს კიდეც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად, რათა ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი დაემყაროს, არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს.

სამართლებრივი ეროვნული სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეროვნული ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას.

ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას. სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებას დაემყარება.

სწორედ ამიტომაც, ლეგიტიმურმა და კანონიერმა მთავრობამ (ხელისუფლებამ) სახელმწიფოში სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა აქციოს.

მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმასრულებელთა, ასევე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. პირიქით, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა შესაძლებლობა იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა უფლებები არ

შეიზღუდება რელიგიური ნიშნით და სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა. ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, არის მოწამოებრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა.

აუცილებელია დავუბრუნდეთ მამა–პაპეულ გზას, ავაღორძინოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო და საქართველოს დაუბრუნდეს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში.

დიადი მიზნები კი მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან.

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, როცა საქართველოს კვლავ დაეპატრონენ ანტიეროვნული, გლობალისტური, კომპრადორული ძალები და სამწუხაროდ დღესაც, უკუღმართ ძალთა მიერ, საქმე ისე წარმოჩინდება, თითქოს დამოუკიდებლობის მოპოვებით ეროვნული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა მიზანი აღსრულდა, ამით კი ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის საჭიროებაც გაქრა და იგი ბუნებრივად შეცვალა ,,იმპორტირებულმა" „დემოკრატიულმა" და „ლიბერალურმა" იდეოლოგიამ.

დღეს, საქართველოს გადასარჩენად, აუცილებლად სჭირდება ეროვნული ხასიათისა და სულის მქონე პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური სტრუქტურები, სჭირდება განახლებული ეროვნული აზროვნება, ეროვნული იდეოლოგია და თეორია, საყოველთაოდ გაზიარებული, დაფასებული ავტორიტეტული აზრი და სიტყვა, სამართლებრივი საქართველოს სახელმწიფოებრიობის პირობებში, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შესაბამისი, ქართველი ერის ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული, ავტორიტეტული იდეოლოგიის აღორძინება–განვითარება, რამეთუ სარწმუნოება, რელიგია, საფუძვლიანად, ფუნდამენტალურად, კაპიტალურად დაფუძნებულია და უპირველესყოვლისა ეყრდნობა ღმერთის, უფლის, ღვთაებების ავტორიტეტსა და თაყვანისცემას.

საყოველთაოა, რომ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ხასიათის, ტრადიციული ანუ რელიგიაზე, სარწმუნოებაზე და შესაბამისად ზნეობასა და სულიერებზე დაფუძნებული სახელმწიფოები უპირატესად იმართებოდა სიტყვის ავტორიტეტზე, თაყვანისცემაზე, სიტყვაზე, მორალურ, ზნეობრივ და სულიერ ავტორიტეტზე და სიტყვისმიერ თაყვანისცემაზე დაყრდნობით, რაც თავის მხრივ ღმერთის, უფლის, ღვთაებების ავტორიტეტისა და თაყვანისცემიდან იღებდა სათავეს.

ათასწლეულების განმავლობაში, ხალხში ღვთიური ძალით დათესილი სიტყვის მოლოდინი სიტყვად მოევლინა, რის შემდგომაც, კაცობრიობისთვის, სიტყვის მთავარი მნიშვნელობა, სიყვარული, ამ სიყვარულის ავტორიტეტი და თაყვანისცემა შეიქმნა.

სამწუხაროდ, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალური სიმდიდრის დაგროვების კვალდაკვალ, სიმდიდრის, მატერიალურის კერპი თანდათანობით სულ უფრო და უფრო ძლიერი გახდა და ძლიერად დაუპირისპირდა ღვთიური სიყვარულის სიტყვას. სიმდიდრის კერპმა დაიწყო გავლენის მოპოვება მანამდე ასკეტიზმით გამორჩეულ ეკლესიაშიც და ეკლესიის საჭეთმპყრობელთა შორის. იმისათვის, რომ შეესუსტებინათ და შემდეგ მოესპოთ სიტყვის ავტორიტეტსა და თაყვანისცემაზე დაფუძნებული სისტემები, ფულად-სასაქონლო სისტემაზე დაფუძნებულ, აგებულ სისტემებს და მათ შორის სახელმწიფოებრივებს, პირველ რიგში უნდა მოესპოთ ზოგადად სიტყვის, ანუ საერთოდ ავტორიტეტისა და თაყვანისცემის გავლენა, დაესუსტებინათ შესაბამისი ინსტიტუტიები, წეს-ჩეულებები, ტრადიციები და სახელი გაეტეხათ სიტყვის მცველი ეკლესიისთვის, სანაცვლოდ კი დაენერგათ სიტყვისგარეშე, სიტყვისმგმობელი ამორფული აზროვნება, რომელსაც არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს ფუნდამენტური, საყოველაო ავტორიტეტები და მათდამი თაყვანისცემა, ანუ უნივერსალურ და საყოველთაო ღვთაებრივ სიტყვაზე დაფუძნებული რამე.

ამდაგვარ საზოგადოებებში კი, ადამიანებს უკვე აღარ და ვეღარ აერთიანებს ერთიანი და უნივერსალური ღვთიური სიყვარული, სიტყვა, ავტორიტეტი, თაყვანისცემა, იდეოლოგია და აზროვნება, ხდება ხალხის, საზოგადოების, სოციუმის სრული ატომიზირება, არავინ აღარ იზიარებს და ითავისებს სხვის აზრს. ასეთ საზოგადოებაში ინერგება თვით ღვთიური სიტყვისადმი, სარწმუნოებისადმი მახინჯი დამოკიდებულებები, ხდება თვით ავტორიტეტისა და თაყვანისცემის, სიტყვის დაკნინება და დამდაბლება, დევალვირება და ინფლაცია, რაც თავისთავად ამდაბლებს და აკნინებს ურთიერთსიყვარულის ფაქტორს საზოგადოებაში.

საზოგადოებას სულ უფრო ნაკლებად აერთიანებს სიტყვა, ღვთიური სიყვარული, საერთო

ავტორიტეტები, საერთო თაყვანისმცემლობა და სულ უფრო მეტად აერთიანებს მატერიალური, მიწიერი, ბილწი ინტერესები და გამაერთიანებელი სიძულვილი რეალური მტრისადმი, თუ მტრის ხატისადმი. სიტყვის მადლს მოკლებული, ასეთი საზოგადოების ადამიანი კი, უძლური ხდება გაუგოს და დაეხმაროს სხვა ადამიანებსა და საზოგადოებებს, ჩაწვდეს მათს ჭირ-ვარამს, იგი შეუთავსებადი, ცივი ხდება სხვის მიმართ და ამითი საკუთარი თავის მიმართაც.

განათლების, როგორც ღვთიური გონიერებითი სინათლის მიწვდომის სისტემა კი სავსებით ქრება. ახალგაზრდობას უნერგავენ ნიჰილიზმს, ავტორიტეტისა და თაყვანისმცემლობის უარყოფას, რომ არ არსებობს რაიმე უნივერსალური, საყოველთაო და მით უმეტეს ღვთიური დოგმები, წესები და წესრიგი. განათლების სისტემა, ანუ ღვთიურ სინათლესთან სულიერი ზიარების სისტემა, სრულებით ისპობა და პრაქტიკულად რჩება მხოლოდ ფუნდამენტალურად უცხოური ფესვების მქონე, ცენტრალიზებული მატერიალური ინტერესებით შედუღაბებული, ორგანიზებული კომპრადორული, გლობალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალა.

ნიშანდობლივია, რომ ფულის, მატერიალურის ზეგავლენა სულ უფრო მეტად იგრძნობა ეკლესიაშიც, იმ ადამიანთა უკანასკნელ თავშესაფარში, რომელთაც კიდევ შემორჩათ სულიერება, სადაც ღვთისმსახურების პროცესშიც და წამომადგენლურ, საზოგადოებრივი თვალთახედვის არეში მყოფ წრეებში, ფრიად იშვიათი გახდა ასკეტიზმი, თავმდაბლობა და ზოგადი, ყოველდღიური მარხულობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სწორ გზას უგებდა ეკლესიის ავტორიტეტს.

არადა, სწორედ საქართველოში, ეკლესია, რომელსაც ყველაზე მეტად ჰქონდა და უნდა ჰქონდეს კიდეც მოსახლეობის ნდობა, ყოველთვის იყო და უნდა იყოს კიდეც ძირითადი ეროვნულ–სარწმუნოებრივი მასაზრდოებელი ქვეყნის სამოქალაქო ეროვნული საზოგადოებისა. სამწუხაროდ, მოსახლეობა აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებრივ სივრცეში ინტეგრაციას არ ჩქარობს და გარკვეულწილად ეს ეკლესიის სისუსტეზეც მიუთითებს, რომელიც მოსახლეობას მხოლოდ მრევლის თვალით უყურებს. ვერც ეკლესია და ვერც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ვერ აცნობიერებს მათ როლს სახელმწიფოებრივი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია მოსახლეობაში შედარებით ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს, იგი თავის შესაძლებლობებთან შედარებით ერიდება პრინციპული პოზიციების დაკავებას.

ეკლესია საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას მხოლოდ კულტურული, რელიგიური და ეროვნული სიბრტყიდან ცდილობს. მხოლოდ ამ ფასეულობების დასაცავად და ისიც ხშირად ზერელედ იწყებს მოსახლეობის გააქტიურებას, მათთვის არასასურველი იდეების გამავრცელებლებთან საბრძოლველად.

რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არაა ეკლესიის პოლიტიზირება, თუმცა მნიშვნელოვანია ეკლესიის როლი ეროვნულ–სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, რამეთუ ეკლესია ყოველთვის ახერხებდა პოლიტიკური პროცესებიდან განზე დოგმას.

საქართველოში, სამწუხაროდ, ეკლესიის პოზიცია მიუხედავად რთული პოლიტიკური დაპირისპირებების ფონისა, ყოველთვის როდია მოზომილი და კონკრეტულ შედეგებზე გათვლილი, იგი ხშირად მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მიმართ დამთმობი და უუნაროა, არადა, ამ დროს, ეკლესია აუცილებელია იყოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი იდეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი.

საქართველოს ეკლესია ხომ დაარსებისთანავე თავისთავადია, ქართველ ერზე კი ნათქვამია: ,,ერი იგი საზეპურო", რაც უფლის სიტყვებით ნიშნავს, რომ ქართველი ერი არისტოკრატიულია. არისტოკრატიული კი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც დახვეწილი, კეთილშობილი, განსაკუთრებული, რჩეული და თავისუფალი.

როგორც ვიცით, ეგზეგეტების, ბიბლიის განმმარტებლების ახსნით, ზეციური ეკლესია მონაწილეობს ღვთის განგებულებაში მსოფლიოს ხალხებზე. ყოველ ქვეყანას, ხალხსა და ტომს მიეცა მფარველი ანგელოზი და ანგელოზების სიმბოლური ბრძოლა არის მათი ლოცვა მსოფლიოს ხალხებისათვის.

საქართველოს მფარველი ანგელოზი კი თვით ზეციერი დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ მიწიერ სიბრტყეზე, ეს არის საღმრთო მოწოდება ღვაწლისა და თავდადებისაკენ.

საქართველო, იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის" მიხედვით არის ქრისტეს უსაყვარლესი მეგობარი ლაზარე, რომელმაც თავისი სიკვდილით ეწამა უფლისათვის, ხოლო ქართული ენა არის ღვთის ენა, რომლითაც ღმერთი ამხელს და განსჯის კაცობრიობას.

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".

ამ სიტყვებით გამოხატულია ქართული კაცის პროფეტული რწმენა იმისა, რომ მისი ენა, ანუ მისი ხალხი, მისი ქვეყანა მეორედ მოსვლამდე, კაცობრიული დროის დასასრულამდე იქნება შენახული. მანამდე კი, ქართველთა გულებში ფესვები უნდა გაიდგას ეროვნულ-სარწმუნოებრივმა თვითშეგნებამ და ეს იქნება უკვე დიდი გამარჯვების საწინდარი.

დგება უმძიმესი ჟამი. წინ დიდი გამოცდა გველის.

ის, რაც ჩვენს კომპეტენციაშია, ჩვენც უნდა შევუნდობთ ერთმანეთს, მაგრამ ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეკლესიაში ბოროტი ძალების მიერ შეგზავნილი პიროვნებები კი არ განსაზღვავენ მის არსს, არამედ უფალი ჩვენი, სახარება, იესო ქრისტე, ღვთისმშობელი და წმინდანები, ანუ, მთავარია მოძღვრება და არა პიროვნებები.

მაშინ, როდესაც აშკარად მოქმედებს უსჯულოების საიდუმლო, რომლის შესახებაც გვაფრთხილებდა წმ. იოანე ღვთისმეტყველი აპოკალიფსში, გასათვალისწინებელი და შესაძლოა მრავალნი, მათ შორის მღვდლებიცა და ეპისკოპოსებიც, ამას მოეკიდებიან არა სულიერად, არამედ ამსოფლიურად, ყალბად დაამშვიდებენ ხალხს და საერთოდ ყველა უსჯულოებას გაამართლებენ, რითაც იმდაგვარ მდგომარეობაში ჩააგდებენ ადამიანებს, რომლიდანაც გამოსავალი ნაკლებად იქნება, მაგრამ უეჭველია, ამგვარი ადამიანები სრულად აგებენ პასუხს ყოველივეზე.

აუცილებელია, ვეცადოთ ვიცხოვროთ უფრო მეტად სულიერად, ვიყოთ უფრო ახლოს ქრისტესთან და არაფრის გვეშინოდეს, რადგან ყველაზე დიდი რაც შეიძლება შეგვემთხვას, არის ის, რომ მოწამეები გავხდებით.

ამიტომაც, ვითარცა დიდგორის ომის წინ, ჩვენ, ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა უნდა მივცეთ, რომ ამ ბრძოლის ველზე სიყვარულისათვის უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით. არც უნდა შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, „ხეობის გასასვლელ-გასაქცევი" ეროვნულ-სარწმუნოებრივი, ზნეობრივი „მოღაღადე ქვათა კედელი" შევკრათ-გადავღობოთ და სარწმუნოებრივი, მტკიცე გულით შევებრძოლოთ მტერსა და განსაცდელს, არ დავდუმდეთ, როდესაც სამშობლო და სარწმუნოება საფრთხეშია.

ჩვენი ერი ვერასოდეს გახდება დამოუკიდებელი და თავისუფალი, თუ ის ზნეობრივად, რელიგიურად და სარწმუნოებრივად არ ამაღლდა. თუ ღვთის სჯულის დასაცავად ზნეობრივად და წესიერად ვიბრძოლებთ, „არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ". საქართველოში სამართალი და იურისპრუდენცია ზნეობრივად აუცილებლად უნდა აღმოცენდეს მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრების დოგმებისა და ახალი „რუის-ურბნისის კრების" საფუძველზე სამართლებრივად არჩეული პატრიარქისა და საპატრიარქოს მიერ.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, პრაქტიკულად მისი შექმნისთანავე ატარებდა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ნიშნებსაც და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამავდროულად იყო, არის და იქნება ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა. მისი ლოზუნგიც – „ენა, მამული, სარწმუნოება" ხომ ამასვე ადასტურებს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიისა და ცნობიერების წინააღმდეგ საქართველოს მტერთაგან ყოველთვის გააფთრებული თავდასხმები და აგრესია ხორციელდებოდა და ხორციელდება დღესაც, ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორული რეჟიმის ზეობისას.

რაც უფრო ძლიერად წარმოჩინდებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაში ეროვნულ-სარწმუნოებრივი საძირკველი, ანუ ზნეობრიობისა და სულიერების პრიორიტეტები, მით უფრო მეტად უპირისპირდებოდა და მტრობდა მას გლობალისტურ-დემოკრატიული იდეოლოგიები და გლობალისტურ-დემოკრატიული სახელმწიფოებრივ-სამთავრობო სისტემები.

ამასთან, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან აქტუალურია და დღესაც, კვლავ კანონის ძალის მქონეა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას მიერ ჩამოყალიბებული ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის იდეოლოგიის საფუძვლები:

- საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის;

- ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი, თავისმხრივ, ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას;

- საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც. სწორედ ამიტომ ჭეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან;

- დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით;

- ეროვნული ხელისუფლება იღვაწებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად. ამ ერთობის არსი შემდგომში მდგომარეობს: ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს. სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას;

- ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას;

- სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. ჩვენ მომხრენი ვართ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯვნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება;

- სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და ქვეყნის თავისუფლების მიღწევასთან ერთად მართლმადიდებლური ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს;

- ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება იყოს საერო სულიერი ცხოვრების აქტიური მონაწილე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მოღვაწეობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება - საგანმანათლებლო საქმიანობის, ტაძრების მშენებლობისა და შეკეთებისათვის. უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე;

- მართლმადიდებლური ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმასრულებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა შესაძლებლობა იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

ამასთან, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია:

- ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის - ეს არის მოწამეობრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა;

- ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპეულ გზას, ავაღორძინოთ თავისუფალი საქართველო. დგება ჟამი, როდესაც უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს ეკუთვნის;

- ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ეს ეროვნული ხელისუფლების ვალია, იყოს ღირსი უდიდესი მისსიის, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა - საქართველოს

დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში.

მართლაც, დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან.

ყოველივე ზემოთაღნიშნულ, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიურ საფუძვლებს, ბევრად უფრო რთულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპზე, დღესაც, სამომავლოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და სახელმწიფო-საზოგადოებრივი სტრუქტურის უფრო ღრმა შრეებს სწვდება. იმათ შორის კი, ვინც თვალთმაქცურად, ვითომც იცავს ეროვნულ იდეალებს, დიდი უმეტესობა შეფარული მტრები, შემრყვნელები და გამყალბებლებია, რომელნიც ცდილობენ დააშორონ ერთმანეთს, გამიჯნონ ეროვნულობის შემადგენელი კომპონენტები, გაამარტივონ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების არსი, ეროვნულობას ჩამოაშორონ სარწმუნოებრივი შემადგენელი, ან სავსებით უგულველყონ მოდგმითი, გენეტიკური შემადგენელი და ეროვნულობა გამარტივებული თვალსაზრისით კულტურის თვისებად წარმოაჩინონ. მუდმივი, გააფთრებული, მასიური და კაპიტალური თავდასხმებია თვით ტერმინზე, ცნებაზე - „ეროვნული“. ამ ტერმინის, ცნების გაყალბებით, გაიაფებით, უადგილო გამოყენებებითა და გაშარჟებით ცდილობენ ეროვნულობის თვით ცნებისა და არსის საფუძვლების შერყევასა და შელახვას.

ესეთი ვაი-ქართველნი, დღევანდელ არაეროვნულ სიტუაციასა და გარემოში, შეიძლება კარგად დახასიათდეს იოვანე სანაბისძის სიტყვებით: „აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტჱსგან, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა“ და ქართველები „მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძჳრა–ძჳრად ზღვეულნი” არიან.

ასეთ ვითარებაში, აუცილებელია, კიდევ ერთხელ გამახვილდეს მამულიშვილთა ყურადღება, ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დაცვის, აპოლოგიის აუცილებლობაზე.

როგორც ვიცით, მნიშვნელოვანი გამოძახილი ჰპოვა მართლმადიდებელი მრევლისა და სახელმწიფოს დავამ ზოგიერთი რელიგიური კონფესიისთვის საჯარო სამართლის იურიდიული სუბიექტის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფოში დღეს მიღებული „წესრიგისამებრ" მორიგი „მორიგებით" დასრულდა. სასაცილოა, სატირალი, რომ არ იყოს, როცა ფაქტობრივმა პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში შეტანილ საკანონმდებლო ცვლილებას დაურთო „განმარტებითი ბარათი", სადაც იურისტებისა და ექსპერტების განცხადებით, იგივე განმარტებებია მოცემული, რომელთაც ისედაც ითვალისწინებდა ეგრეთწოდებული საკონსტიტუციო შეთანხმება. დღევანდელი მართლმადიდებლური ეკლესია ხომ უკვე რვა წელიწადია ისედაც უკვე იყო რეგისტრირებულიც და აღიარებულიც. ახალი კანონის პირველი პუნქტით კი, საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი კიდევ უფრო დააკნინეს - მას სხვა რელიგიური კონფესიების მსგავსად მისცეს საჯარო სამართლის იურიდიულ სუბიექტად „დარეგისტრირების" უფლება. საკონსტიტუციო შეთანხმება 12 მუხლისაგან შედგება და ამბობს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული როლი აქვს, ამიტომაც სახელმწიფო და ეკლესია შეთანხმდნენ, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიულად ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის სუბიექტია და გამოყოფილია სახელმწიფოსგან. პარლამენტართა „განმარტებით ბარათშიც" ისევ იგივეა ნათქვამი. საერთოდ, გაუგებარია „განმარტებით ბარათს" რა ნორმატიული აქტის სახე აქვს და გვაფიქრებინებს, რომ იგი არის აბსურდული, რადგანაც იქ იგივე წერია, რაც ისედაც არის განსაზღვრული ეგრეთწოდებული საკონსტიტუციო შეთანხმებით. ეს საკანონმდებლო ცვლილება, არც დიდად, სხვა რელიგიურ კონფესიებს არაფერს აძლევს, გარდა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა. კანონს დართული უნდა ჰქონოდა განმარტებები, რაც მათ რელიგიური უფლებებისა თუ თავისუფლების რეალიზებაში მიეხმარებოდა. სწორედ ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მართლმადიდებელ ეკლესიასთან მოლაპარაკებით, სადაც სამართლის საკითხებში პროფესიონალი ექსპერტებიც იქნებოდნენ ჩართული. თითქოს არც მართლმადიდებელი ეკლესია იყო ამის წინააღმდეგი, მაგრამ პარლამენტმა, ალბათ კვლავ „შეთანხმებით", დაჩქარებული წესით, ხალხის აზრის გაუთვალისწინებლად და მის ნაცვლად, რომ სამართლებრივად გამართულიყო პუნქტები და დეტალები, თუ როგორ, რა წესით უნდა დარეგისტრირებულიყო ესა, თუ ის რელიგიური კონფესია, რომ დაცული ყოფილიყო ჩვენი ეროვნული იდენტურობა, განსაზღვრულიყო პირობები, თუ პრიორიტეტები, მიიღო რელიგიური

უმცირესობებისთვის კანონი. ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებშიც არსებობს საკანონმდებლო განმარტებები, თუ რომელ რელიგიებს მიანიჭონ საჯარო სამართლის იურიდიული სუბიექტის სტატუსი. მათი განმარტებები, უცილობლად, მიანიშნებს, რომ პრიორიტეტი ენიჭება ტრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობებს, ან იმ რელიგიურ მიმდინარეობებს, რომლებსაც მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავთ. ასე რომ, განმარტებების გარეშე მსგავს საკითხებს ხელაღებით ევროსაბჭოს წევრ დიდ ქვეყნებშიც არ სწყვეტენ, მაგრამ ევროპამ, სადაც ზოგან კათოლიციზმი დომინირებს, ზოგან ლუთერანობა, ან პროტესტანტიზმი, სხვადასხვა ქვეყნის იდენტურობისთვის დამახასიათებელი ვითარებანი გაითვალისწინა, ჩვენ კი, გაუგებარი, აბსურდული მოთხოვნები გავაფართოვეთ და აბსურდამდეც მივედით.

საქართველოს ძალაუფლებრივი ხელისუფლება ბუნდოვანი კანონით ხელს უწყობს ისეთი რჯულის მისიონერობასაც კი, რომელიც არ არსებობდა საქართველოში. კანონის ბუნდოვანება ნებისმიერ სხვა კონფენსიას საშუალებას აძლევს, გააპროტესტოს არსებული ვითარება, რატომ არ შეიძლება ჰქონდეთ მათ იგივე სტატუსი და უფლება, რითაც სარგებლობს ჩვენი ტრადიციული, მართლმადიდებლური ეკლესია.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მრევლი დღეს შეურაცხყოფილია.

არადა, სახელმწიფოში, თუ მაინცადამაინც შესრულებულ უნდა იქნეს გარე, საერთაშორისო ხელშეკრულებების თითქოს ვალდებულებათა მოთხოვნა, ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან დამოკიდებულებათა თაობაზე, ხომ შეიძლება ეს ყოველივე შენი ქვეყნის ტრადიციების, ეროვნულ–სარწმუნოებრივი იდეოლოგიის გათვალისწინებით გაკეთდეს და სახელმწიფო კონსტიტუციაც, სამართლებრივად, ხალხის, ერისა და ბერის ერთობლივი გადაწყვეტილებით მიიღო?!

აუცილებელია, ხალხისა და მრევლის საწინააღმდეგო არასახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმისას, დროზე მოეგონ გონს ერისა და ბერის მამამთავარნი, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაბამისი პრობლემები. ერშიც და ბერშიც საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს, რათა საჭიროებისამებრ განიწმინდონ უკეთურნი. შესაბამისად ამ საკითხთან მიმართებაში კი, უპირველესყოვლისა, ეკლესიამ, მრევლის მოთხოვნით, უნდა თქვას თავისი ეროვნულ–სარწმუნოებრივი სიტყვა.

თუ გავიხსენებთ, დავით აღმაშენებელს, მისი მიზანი იყო არა მხოლოდ ეკლესიის გაწმენდა, არამედ მისი ჩაბმა საქართველოს ეროვნული გაერთიანების პროცესში, რაც ვერ მოხერხდებოდა, თუ სასულიერო იერარქები არ იქნებოდნენ ერთგულნი ღვთისა და ერისა.

ისტორია გვეუბნება: რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა ბევრი მიზეზით იყო განპირობებული. გარდა იმისა, რომ კრებას ღირსების მიხედვით საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნის საკითხი უნდა განეხილა, მოსაგვარებელი იყო მთელი რიგი სხვა პრობლემებიც, კერძოდ: ირღვეოდა ხელდასხმის წესი, ნიავდებოდა საეკლესიო ქონება, ადგილი ჰქონდა ,,ჩვილთა ქალ-ყმათა" გვირგვინის კურთხევას, მონასტრებში იმართებოდა ვაჭრობა, რაც ქრისტიანული დოგმატით წმინდა ადგილებისთვის შეუფერებლად ითვლებოდა. ამიტომ, თუმცა საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე კრების ჩატარება დიდ სირთულეს წარმოადგენდა, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მაინც გადაწყდა მისი მოწვევა და ,,აი დიდთა წყლულებათა კურნებათა კურნებად" შემოკრბა ერი მრავალი ,,სანახებთა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისა". აღსანიშნავია, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება ეყრდნობოდა მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ კანონმდებლობას, დიდი რჯულის კანონს. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება არ შეიძლება მივაკუთვნოთ რიგით ადგლობრივ კრებათა რიცხვს, იგი იყო საგანგებოდ მოწვეული განსაკუთრებული კრება, რომელსაც საქართველოს ეკლესიის წინაშე მდგარი ბევრი საჭირბოროტო საკითხი უნდა გადაეწყვიტა. კრებას ესწრებოდნენ არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის, არამედ უცხოეთში არსებული ქართული მონასტრების საგანგებოდ მოწვეული თვალსაჩინო წარმომადგენლები, აგრეთვე სასულიერო და საერო ადამიანები. საგულისხმოა, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებებსაც თავმჯდომარეობდნენ მათი საპატრიარქო კათედრებს შორის უპირატესნი, რა თქმა უნდა, თუ თავად ისინი არ იყვნენ კრების მსჯელობის ობიექტნი. ყოველმხრივ სჩანს, რომ რუის-ურბნისის კრება მსოფლიო კრების ფორმატით ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ კრება დავითმა მოიწვია, ,,ძეგლისწერა" კი თავად მეფეს მონაწილე საპატიო პირთა რიცხვში მოიხსენიებს და არა საქმიან პრეზიდიუმში და ამითაც მჟღავნდება მეფის უდიდესი თავმდაბლობა. იგი თანაბარ სიმაღლეზე აყენებდა საერო და სასულიერო საქმეებს, მაგრამ

მოქმედებდა მოძღვრის ლოცვა-კურთხევით, რამაც განაპირობა დავითის სახელმწიფოს სიძლიერე.

და საბოლოოდ, "...დღეთა მრავალთა ფრიადთა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმარტეს, კეთილი და სათნო ღმთისა წესი ყოველი დაამტკიცეს".

რუის-ურბნისის კრების აღნიშნულ გადაწყვეტილებათა დიდმნიშვნელობას თვით დავით აღმაშენებლის სიტყვები ცხადყოფს, რომლითაც წმ. მეფემ „ძეგლისწერას" „ძეგლი შუენიერი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა" უწოდა.

ინება უფალმაც და რუის-ურბნისის საეკლესიო კრება დაედო საფუძვლად ჩვენი ქვეყნის გაერთიანება–გაძლიერებას.

ერისა და ბერის ურთიერთთანადგომა ხომ ყოველთვის საქართველოს ძლიერების ქვაკუთხედია. ჩვენც, ამდაგვარად, წმიდა კანონთა დაცვით ჩვენს დიდ წინაპართა იმ გზას უნდა გავყვეთ, რომელმაც საქართველო სულიერ და მატერიალურ აღორძინებამდე მიიყვანა.

ყოველივეს კიდევ ერთხელ გახსენება კი აუცილებელია, რათა კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ამ წმიდა კრების დადგენილებებზე, მათი აღსრულების აუცილებლობაზე და აღვიჭურვოთ საჭირო სათნო ცოდნით.

თავისი არსებობის საუკუნოვან გზაზე ქართველ ხალხს, როგორც დღეს, ყოველთვის დიდი სახელმწიფოების გვერდით უხდებოდა ცხოვრება. ამ დიდი იმპერიების ურთიერთჭიდილსა და მცირე ერებისადმი მიმართულ დამპყრობლურ ბრძოლებს ბევრი დიდი და მცირე ერი შეეწირა და „აღიგავა პირისაგან მიწისა", შედარებით მცირერიცხოვანმა ქართველობამ კი დღემდე მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებლობის უბიწოების დაცვით, რწმენისადმი თავგანწირვით, ღვთისა და ერის სიყვარულით მოაღწია.

ხელისუფალთ კი, რომელიც ერად ვერ აყალიბებს თავისი ქვეყნის მოსახლეობას, არა აქვს უნარი მოქალაქეთა ერთობად გარდაქმნას ქვეყნის სხვადასხვა წარმოშობისა, თუ კონფესიის პირი, ანდა არ შეუძლია იყოს მაკონსოლიდირებელი ძალა თავის ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა, სახელმწიფო ეშლება ნაწილებად, სხვადასხვა ტერიტორიებად და სახელმწიფოებად. ქართველმა ერმა, ასევე უნდა შესძლოს თავისი ენა და კულტურა განავრცოს მთელ სახელმწიფოში, მის საზღვრებში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსებს მისცეს თავისი კულტურული იერსახე, საბოლოოდ კი ჩამოაყალიბოს ისინი ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ინტეგრაცია არ გულისხმობს იმას, რომ არაქართველური ეთნიკური ჯგუფები ქართველ ეთნიკურ ჯგუფად გადაიქცევიან, არამედ იმას, რომ ისინი შეინარჩუნებენ შიდა ეთნიკურ თავისთავადობას, მაგრამ საქართველოს თანამედროვე ერის ნაწილად იქცევიან ქართული ენის ცოდნით, საქართველოს საკუთარ სახელმწიფოდ აღიარებით, მისი კულტურის მატარებლობით, მის სრულფასოვან მოქალაქეებად გადაქცევით. კულტურა კი ხალხთა გამაერთიანებელი უდიდესი ძალაა, საფუძველია ერთობისა და ცხადია, სახელმწიფოებრიობასთან, საერთო მოქალაქეობასა და სამართალთან ერთად საერთო ქართულმა კულტურამ უნდა შექმნას სამომავლოდ საქართველოს ერის იერსახე და მისი მთლიანობის ნიშნად იქცეს.

საქართველოს წმიდა ეკლესია ისტორიულად, ათასწლეულთა მანძილზე, იყო ქართული კულტურის შემოქმედი და მისი გამავრცელებელი მთელს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. როგორც ითქვა, საქართველოდ იწოდებოდა ვრცელი ქვეყანა, სადაც ქართული ენით იდიდებოდა უფალი ღმერთი და ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმე აღესრულებოდა.

უფალმა ჩვენ მოგვცა სახელმწიფო, ეროვნული ეკლესია, უძველესი კულტურა, ენა, ჩვენ კი მხოლოდ ერთი მოვალეობა დაგვაკისრა - მათი დაცვა, განმტკიცება და განვრცობა.

თანამედროვე გლობალური პროცესები ჩვენისთანა მცირე ერებისთვის სერიოზულ საფრთხეებს ქმნიან. გარეშე ძალები ქართული ტრადიციების აღმოსაფხვრელად, მართლმადიდებელი ეკლესიის რეპუტაციის შესალახავად და ეროვნულ-ზნეობრივი ფასეულობების შესარყვნელად სახსრებს არ იშურებენ. ამიტომაც, დიდი კაბადოკიელი მამების თანახმად, ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ ცოდნისა და რწმენის არა დაპირისპირება, არამედ მათი სიმფონიური თანაარსებობა საზოგადოებრივ პრობლემათა გადაჭრის საქმეში. რა თქმა უნდა, გარეშე სახელმწიფოებრივი ნებისა და საყოველთაო ეროვნულ–სარწმუნოებრივი პროგრამის მხოლოდ თეორიული ქმედებით ფონს გასვლა გაჭირდება, მაგრამ საზროვნო სივრცის გაფართოება უეჭველად გამოავლენს ახალ პრაქტიკულ საშუალებებს, თუ როგორ უნდა წარვმართოთ ჩვენი ბედი, თუნდაც უკუღმართი ისტორიული პირობების გათვალისწინებით.

დროა კვლავ დავეპატრონოთ, მაღლა ავსწიოთ, ავიტაცოთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების მამულიშვილთა სისხლით შეღებილი კეთილშობილი დროშა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით გავაგრძელოთ ,,მამულისა ჩვეულებისამებრ სლვაჲ" ერის ხსნის გზაზე. ჭეშმარიტად მორწმუნე სულისა და სიკეთის მსახურთ კი, მუდამ გვფარავდეს სიკეთითა და სათნოებით სავსე უფალი ჩვენი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრი,
,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"
თავმჯდომარის მოადგილე ნუკრი ბაღდავაძე

დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში

დემოგრაფიული პრობლემები აღიარებულია თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარ ხუთ გლობალურ პრობლემათა შორის. ასეთ პრობლემებად მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს მიაჩნია: მშვიდობის შენარჩუნება; ყოფილ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა; კაცობრიობის უზრუნველყოფა ენერგიის წყაროებით; გარემოს დაცვა და დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. მსოფლიო მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპების ფონზე, საწინააღმდეგო ვითარებაა განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: კლებულობს მოსახლეობის რაოდენობა, მეტად არასახარბიელოა დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელი და სულ უფრო მწვავდება დემოგრაფიული პრობლემები. მაშინ, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა ბოლო წლებში საოცარი სისწრაფით იზრდება, ტიტულოვანი ერების მოსახლეობის რაოდენობა პირიქით, საგრძნობლად იკლებს.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესო კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიუ-ლი ბალანსი შემდეგია: კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, საგრძნობლად დაირღვა. კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა XX საუკუნეში, მიუხედავად ცალკეულ პერიოდებში უმძიმესი პირობებისა, საგრძნობლად გაიზარდა, კერძოდ, 1926-2015 წლებში 7 617 000 -დან 23 437 000 -მდე და ზრდის ტემპმა 307,7% შეადგინა. მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებით დიდი იყო ჩრდილო კავკასიაში. კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი ძირითადად დაირღვა საქართველოს ხარჯზე. თუ ისტორიულად სამხრეთ და საერთოდ, კავკასიაში ქართველები და საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, შემდეგში ვითარება არსებითად შეიცვალა. 1926 წელს კავკასიის მთელი მოსახლეობის 35,1%, ანუ ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1970 წელს 28,1%, ხოლო 2015 წელს მხოლოდ 16,85% შეადგინა, ანუ კავკასიაში მცხოვრები ყოველი მეექვსე ცხოვრობს საქართველოში. სამაგიეროდ, აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებელი 30,4% – 38,0%-მდე გაიზარდა. 2010 წელს გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდმა საქართველოში ჩაატარა კვლევები, რის მიხედვითაც 2050 წლისთვის საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება, ქვეყნის მოსახლეობა 28%-ით, ანუ 1 170 000 კაცით მცირდება. შესაბამისად, კავკასიაშიც საგრძნობლად ირღვევა დემოგრაფიული ბალანსი. ამ დროისთვის აზერბაიჯანის მოსახლეობა 33%-ით, ხოლო სომხეთის მოსახლეობა 7%-ით იზრდება. USAID-ის მონაცემებით, 232 ქვეყანას შორის საქართველო მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტემპით მე-16-ე ადგილზეა, შობადობით – 174-ზე. 1926 წელს კი, ჩვენ პირველ ადგილზე ვიყავით კავკასიაში მოსახლეობის რიცხოვნობით, დაახლოებით ნახევარი მილიონით აღვემატებოდით აზერბაიჯანელებს და მილიონ-ნახევრით - სომხებს. დღეს აზერბაიჯანის მოსახლეობა ჩვენზე ორჯერ მეტია და სომხებიც სადაცაა, გაგვისწრებენ. ესაა უბედურება.

ჩვენ ახლა პოზიციებს არამარტო პოლიტიკურად ვკარგავთ, დემოგრაფიულადაც, ფაქტობრივად, მომაკვდავი ერი გავხდით. თუ საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიას კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს, ადვილად შევამჩნევთ, რომ ადრეულ საუკუნეებში, კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი წყაროებით ცნობილია, რომ მის ზოგიერთ ისტორიულ პროვინციაში მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი მე-XIII საუკუნის პირველ ნახევარში იყო. ამ დროს ჩატარებული აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონ კაცს აღწევდა. ეს იყო შედეგი იმ უძლიერესი მე-12-ე საუკუნისა, რომელსაც დავითისა და თამარის მეფობის ხანას უწოდებენ. გამუდმებული შემოსევების შედეგად მე-18 საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონიდან 761 ათასამდე შემცირდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი ქვეყანაში შავი ჭირის გავრცელების გამო

მოსახლეობა თითქმის განახევრდა და 400 ათას კაცს შეადგენდა. ასეთი მცირე რაოდენობით მოსახლეობა საქართველოში მთელი მისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა, ხოლო მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის საყოველთაო აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა იმდროინდელ საზღვრებში 2 მილიონზე მეტს შეადგენდა, ანუ ერთ საუკუნეში 5-ჯერ გაიზარდა. უკანასკნელ წლებში, საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1989-1992 წლებში იყო და 5 მილიონ 400 ათასს შეადგენდა. ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობა განუხრელად მცირდება და ბოლო მონაცემებით, 4 მილიონ ნახევარს არ აღემატება. მიუხედავად ბოლო წლებში შობადობის მცირედი ზრდისა, საქართველოში ბუნებრივი მატება არ შეინიშნება. პირიქით, საქართველოში დემოგრაფიული პრობლემები დღითიდღე მწვავდება.

როგორც ცნობილია, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას მიეკუთვნება ისეთი ბუნებრივი პროცესები, როგორიც არის: შობადობა და მოკვდაობა. არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა – 104 ათასი. 1960-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, ხოლო 1991-2015 წლებში კი – 55 ათასი. საყურადღებოა, რომ შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 135 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 2006-2015 წლებში ეს მაჩვენებელი 50 ათასამდე შემცირდა. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა შობადობის აბსოლუტური მაჩვენებელი. კერძოდ, 2000-2009 წლებში საქართველოში 502 296 ბავშვი დაიბადა, მაშინ, როდესაც 1960-1969 წლებში ეს მაჩვენებელი 850 908 ბავშვს უდრიდა. ამ პერიოდში გარდაცვლილთა რაოდენობა 276 034 კაციდან 448 712 კაცამდე გაიზარდა. შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით, ბოლო წლებში საქართველოში ბუნებრივი მატება თითქმის 10-ჯერ შემცირდა. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ყველაზე მძიმე მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმში, შემდეგ გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთსა და კახეთში. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოგრაფიულ პრობლემებში მთავარი ადგილი უჭირავს შიდა და გარე მიგრაციას. საქართველოს ტერიტორიის 2/3 მთიანი რეგიონია. მთის პრობლემა დღეს არ დაწყებულა. შიდა მიგრაცია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო 90-იანი წლებიდან, ანუ ბოლო 25 წლის მანძილზე, მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა და დღეს საქართველოს მთას უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემები უდგას. მოსახლეობისგან იცლება მთიანი რეგიონები. თუნდაც 2002 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 164 სოფელი მთლიანად დაცლილია, ანუ აღარ არსებობს, ხოლო 152 სოფელში 10 და ნაკლები კომლი ცხოვრობს. სავარაუდოდ, ამ 152 სოფლიდან 2002 წლის შემდეგ კიდევ რამდენიმე გაუკაცრიელდა. ამ სოფლების უმეტესობა მთიანი სოფლებია. დემოგრაფიული პრობლემა დღესდღეობით ჩვენი ყველაზე დიდი ეროვნული პრობლემაა. გონიერი პოლიტიკის შედეგად შესაძლებელია დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება, მაგრამ ბოლო 25 წლის მანძილზე, ჩვენი უმოქმედობის შედეგად, ფაქტობრივად, უკვე შეუძლებელი ხდება კატასტროფის თავიდან აცილება. ძლიერი დემოგრაფიული პოლიტიკით უნდა შევძლოთ მოსახლეობის 28%-იანი კლების საგრძნობი შემცირება. რაც შეეხება ემიგრაციას, საქართველოდან 90- იანი წლების შემდეგ გასულია თითქმის 1,5 მლნ ადამიანი. 2001 წლიდან დღემდე ქვეყნის შიგნით დაიბადა 630 000 ბავშვი, მაშინ, როდესაც უცხოეთში გაჩნდა 200 000 ქართველი. აქედან გამომდინარე, ყველაზე დიდი ნეგატიური გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ემიგრაციამ იქონია. მსოფლიოს არაერთი ქვეყანა დგას დემოგრაფიული პრობლემის და ამ პრობლემებით გამოწვეული შედეგების საფრთხის წინაშე. გაეროს მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს იმ 20 ქვეყანას შორისაა, სადაც მოსახლეობის დეპოპულაცია მიმდინარეობს. შობადობის მიხედვით კი საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყნიდან 164-ე ადგილზეა. ფერტილობის კოეფიციენტი, რომელიც შვილოსნობის უნარის მქონე ერთი ქალის მიერ (15-49 წლის) სიცოცხლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას გულისხმობს 1,4 – 1,7-ის ფარგლებშია, მაშინ, როცა მოსახლეობის განვითარებისა და თაობათა აღდგენისათვის, ეს კოეფიციენტი მინიმუმ 2-ის ტოლი უნდა იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოში შვილების თაობა მათი მშობლების თაობის დაახლოებით 70-80%-ს განაახლებს. ამავე მონაცემებით, მსოფლიოში მხოლოდ 14 ქვეყანაა ასეთი დაბალი მაჩვენებლით. საქართველოში თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება მეტად მწვავეა. მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა და ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა ვითარებამ კრიზისულ ზღვრამდე შეამცირა შობადობა და გაზარდა მოკვდაობა. თუ 1980-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 94 ათასი ბავშვი იბადებოდა, ამჟამად ახალშობილთა რაოდენობა თითქმის განახევრდა.

ასე, რომ უკვე გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება ვიდრე საჭიროა მშობელთა თაობის რაოდენობრივი შეცვლისათვის. მეტად ინტესიური გახდა გარე მიგრაციულ პროცესები, ძირითადად მძიმე ეკონომიკური პირობების გამო უკანასკნელ წლებში ქვეყანა მილიონ ნახევარზე მეტმა ადამიანმა დატოვა და ფიზიკური არსებობისათვის სახსრის საშოვნელად საცხოვრებლად სხვა ქვეყნებს მიაშურა. ყოველივე ამის შედეგად მთელ მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი და იზრდება 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი ე. ი. მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. ეს პროცესები განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში და ყველაზე მეტად თავი იჩინა ქართულ მოსახლეობაში. ვითარება იმდენად რთულია, რომ ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორებას არ უნდა მოველოდოთ.

დიახ, ქართველი ერი ფიზიკური წყვეტის, გადაშენების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ერთიდაიმავე რაოდენობით თაობათა განახლება სულ უფრო ძნელი ხდება, რაც სულიერი უწყვეტობის პროცესის საგრძნობ შენელებასთან შედარებით ბევრად უფრო სახიფათოა. ამდენად ფიზიკური უწყვეტობის პრიმატი აშკარაა, რადგან ერის სულიერი ცხოვრების საგრძნობი მოდუნებაც კი შეიძლება გადაილახოს. მრავალი მტრის მიერ აოხრებულ და გაპარატახებულ საქართველოში თითქმის შეწყდა სულიერი ცხოვრება, მაგრამ შემდეგ საუკუნეებში მაინც შესაძებლელი გახდა მისი აღორძინება, რადგან არსებობდა სულიერი ფასეულობების მდიდარი დასაყრდენი. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები, რომ კავკასია ერთი მთლიანი რეგიონია, სადაც ბუნებრივი და კლიმატური პირობები, ზოგადი ცხოვრების წესი რამდენადმე უახლოვდება ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები საქართველოში გაცილებით უარესი იყო და არის, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. საქართველოში შობადობის სისტემატურ შემცირებას კიდევ უფრო ცხადად გვიჩვენებს შობადობის დონის განმსაზღვრელი, როგორიცაა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი და მოსახლეობის გამრავლების რეჟიმის ნეტო კოეფიციენტი. უკანასკნელ წლებში ნეტო კოიფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა და მან **2004** წელს **0,662** შეადგინა. რაც იმას ნიშნავს რომ ყოველი ათასი დედის შესაცვლელად მხოლოდ **662** გოგონა მოდის. აღსანიშნავია, რომ შობადობის თანამედროვე პარამეტრები თითქმის ორჯერ მცირეა, ვიდრე თაობათა შეცვლისათვისაა საჭირო. როდესაც ქალი თავის სიცოცხლის განმავლობაში **1,3** ბავშვს აჩენს (ზოგიერთ წლებში ეს მაჩვენებლები გაცილებით ნაკლებია) შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ხდება ერთი მშობლის ანაზღაურება. ეს პროცესი გამოკვეთილად, თუ რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული, **8-10** წლის შემდეგ იჩენს თავს და პიკს **2020**-იანი წლების დასაწყისში მიაღწევს. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რომელიც ხანგძლივი პერიოდზე იქნება გადვალისწინებული მხოლოდ შეიძლება შენელდეს ეს პროცესი და საკმაო დროის გავლის შემდეგ მიღწეული იქნეს სასურველი შედეგი.

ამრიგად ძირითადად ეკონომიკური პირობების საგრძნობლად გაუარესების შედეგად განვლილ პერიოდში შობადობის კლების კვალობაზე მკვეთრად შემცირდა დაბადებული ქალების რაოდენობა და ამის გამო შობადობის შემდგომ შემცირებას, თუნდაც ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაში, ქვეყანა უკვე ვეღარ აცდება.

აღსანიშნავია ისიც რომ მცირეშვილიანობა მასობრივად ვრცელდება ქართულ მოსახლეობაში. მთელ დაბადებულებში განსაკუთრებით მაღალია პირველი შვილის დაბადების წილი. ამრიგად შობადობის დაბალი დონე საქართველოში დაკავშირებულია ერთბავშვიანი ოჯახების მასობრივ გავრცელებასთან, შესაბამისად დაბადებულთა საერთო რაოდენობაში პირველი შვილის უაღრესად მაღალ წილთან. ამ მაჩვენებლებით საქართველომ უკვე გაუსწრო ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს.

საქართველოში ტრადიციულად მოკვდაობის დონე დაბალი იყო როგორც მეზობელ, ისე ევროპის უმრავლეს ქვეყნებთან შედარებით, უკანასკნელ წლებში კი იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ თუ მოსახლეობის **1000** სულზე **1960** წელს **6,5** კაცი გარდაიცვალა, ეს მაჩვენებელი **2004** წელს **11,3** უდრიდა. შემდეგ წლებში კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. მაღალია ბავშვთა მოკვდაობის დონეც, მაგალითად **2004** წელს **49572** ბავშვი დაიბადა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები იყო რადგან მაღალია ერთ წლამდე ბავშვთა მოკვდაობა. კერძოდ **2004** წელს ერთ წლამდე ასაკში **1178** ბავშვი გარდაიცვალა, ანუ ყოველ **1000** დაბადებულ ბავშვზე **23,8** ბავშვი, **2003** წელს ეს მაჩვენებელი **24,8** პრომილეს უდრიდა და ყველაზე მაღალი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. კიდევ უფრო შემზარავ შტაბეჭდილებას ტოვებს ეს ციფრები, თუ ბავშვთა მოკვდაობას ხანგრძლივ პერიოდში განვიხილავთ. კერძოდ **1980-2004** წლებში ანუ **25** წლის განმავლობაში **43940** ბავშვი გარდაიცვალა ერთი წლის ასაკში. თითქმის იმდენივე რამდენი ბავშვიც **2004** წელს ქვეყანაში დაიბადა. ასევე მაღალია მკვდრად დაბადებულთა რიცხვი ამავე წელს **722** ბავშვი მკვდარი დაიბადა, ანუ ყოველ **1000** დაბადებულზე მკვდარშობადობის მაჩვენებელი **15,3** უდრიდა. **1980-2004** წლებში კი მკვდარი დაიბადა **16500** ბავშვი ამრიგად ამ პერიოდში ერთწლამდე გარდაცვლილ ბავშვთა და მკვდარშობილთა რაოდენობა **60440** ბავშვი შეადგინა. ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი საქართველოს სტატისტიკის დეპარატამენტის მონაცემებით **2007** წელს მნიშვნელოვნად შემცირდა და ყოველ **1000** დაბადებულზე ამ მაჩვენებელმა **13,3** ბავშვი შეადგინა. როგორც ჩანს ეს მაჩვენებელი არა არის ზუსტი. კერძოდ **2005** წელს საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდის ხელშეწყობით ჩატარდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. ამ გამოკვლევის მიხედვით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი **1000** ცოცხალ შობილზე **29,0** ბავშვს უდრიდა, მაშინ როდესაც ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით ამავე წელს **1000** ცოცხალშობილზე **19,7** ბავშვი გარდაიცვალა.

ჯანდაცვის სისტემის უფრო სრულყოფილი მდგომარეობის მიუხედავადაც კი დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონის გამო, განვითარებულ ქვეყნებში მოკვდაობის საერთო მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. რაც შეეხება მიგრაციას, რომელიც დემოგრაფიული მდგომარეობის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვენელოვანი კომპონენტია, განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია გარე მიგრაციის დადებითი სალდო (როცა შემოსულთა რაოდენობა მეტია ქვეყნიდან

გასული მოსახლეობის რაოდენობაზე გარკვეულ პერიოდში), ხოლო ნაკლებად განვითარებულისათვის - უარყოფითი (როცა გასული მოსახლეობა ჭარბობს დაბრუნებულს). შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული ქვეყნებისათვის გარე მიგრაცია დაბალი ბუნებრივი მატების გარკვეულ კომპენსაციას იძლევა.

მსოფლიოს ზოგად დემოგრაფიულ ვითარებასთან შედარებით, საქართველოში განსხვავებული მდგომარეობა ჩამოყალიბდა. შობადობის, მოკვდაობისა და მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, საქართველო განვითარებული ქვეყნების მსგავსია, ხოლო გარე მიგრაციის თვალსაზრისით - ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა, რაც კიდევ უფრო ძაბავს შექმნილ დემოგრაფიულ ვითარებას.

ერთ-ერთ ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად სქესთა შორის დარღვეულ თანაფარდობას ასახელებს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს საქართველოს მოსახლეობის 53% ქალია, 47% კი – მამაკაცი. შობადობის მიხედვით კი ცოცხლად დაბადებულებიდან 100 გოგოზე 115 ბიჭი მოდის, თუმცა აქ ადგილი აქვს სტატისტიკურ არტეფაქტს – ცოცხლად დაბადებული ბიჭების უმეტესობა რეპროდუქციულ ასაკს ვერ აღწევს. გამომდინარე აქედან, ჩვენს ქვეყანაში მაღალია ნაადრევად გარდაცვლილთა რაოდენობაც და სიცოცხლის ხანგრძლივობა სტაგნაციას განიცდის – ქალთა შორის საშუალო ასაკი არის 75, მამაკაცთა შორის კი – 68 წელი; რაც შეეხება სიკვდილიანობის მაღალი დონის გამომწვევ მიზეზებს, პირველ-მეორე ადგილს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იკავებს გულ-სისხლძარღვთა (ბოლო მონაცემებით, წელიწადში 25 700 კაცი) და სიმსივნური დაავადებები (ბოლო მონაცემების მიხედვით წელიწადში 5039 კაცი). შობადობის და შესაბამისად მოსახლეობის გაზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს აბორტების დიდი რაოდენობა ქვეყანაში. საქართველოში წელიწადში 150 000-მდე არასასურველი ორსულობის თავიდან აცილება ხდება, რომელთა უმრავლესობა არალეგალური და არაოფიციალური გზებით ხდება.

მართალია, არსებობს სხვადასხვა სერიოზულ დაავადებათა მკურნალობის პროგრამები, მაგრამ ისინი საკმაოდ ძვირადღირებულია და პაციენტები მას სახელმწიფოს თანადაფინანსებით გადიან, რაც ნამდვილად არ იძლევა საგრძნობ შედეგს. წარმოებს სპეციალური სადაზღვევო პაკეტებიც, რომლებიც სტატუსის შესაბამისად ითვალისწინებს გარკვეული ფასდაკლებით სამედიცინო მომსახურებას, რაც ასევე, ტოვებს უკმარისობის შეგრძნებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა განყოფილებამ სათანადო კვლევების შემდეგ, შარშან, წლის დასაწყისში, გამოაქვეყნა 2050 წლამდე პერიოდისათვის მსოფლიოში დემოგრაფიული სიტუაციის ახალი პროგნოზი. გაეროს კვლევის მიხედვით თუ საქართველოში დემოგრაფიული პოლიტიკა და სტრატეგიები არ შეიცვალა, მომავალი დემოგრაფიული პერსპექტივა ასეთია – თუ დღეს ჩვენი მოსახლეობა 3 729 500 ადამიანია, 2050 წლისათვის – 2 985 000 -მდე შემცირდება.

დღევანდელი დადებითი მაჩვენებელი, დემოგრა-ფების პროგნოზით, რამდენიმე წელიწადში კვლავ უარყოფითისკენ შეიცვლება. ამ ვარაუდს ის უდევს საფუძვლად, რომ რამდენიმე წელიწადში რეპროდუქციულ ასაკში შევლენ ის ქალები, რომლებიც 90-იანი წლების ძალიან მძიმე პერიოდში დაიბადნენ - მაშინ, როცა საქართველოში შობადობა ძალიან დაბალი იყო. 1992 წლიდან 2015 წლამდე შობადობის მაჩვენებელი საკმარისი არ იყო თაობათა განახლებისთვის. როგორც უკვე ითქვა, იმისათვის რომ თაობათა აღწარმოება მოხდეს, საჭიროა საშუალოდ 10-მა ქალმა 21 ბავშვი გააჩინოს. 2007 წლიდან დღემდე შობადობის ამ ტემპით ზრდა წარმოუდგენელია, მაგრამ ასევე მოსალოდნელია შემდეგი: შობადობის შემცირება და შობადობისა და მოკვდაობის უარყოფითი თანაფარდობა მოსალოდნელი იქნება უკვე 2016-2017 წლიდან და ამით ძალიან ცუდი ვითარება გვექნება!

ზუსტად 90-იანი წლების თაობა შედის რეპროდუქციულ ქმედებაში. ის, რომ, თითქოს, საქართველოში შობადობის ზრდას დემოგრაფები და სტატისტიკოსები სამი ძირითადი მიზეზით ხსნიან: რეგისტრაციის მოწესრიგება, შობადობის კალენდრის გადმოწევა, რაც გულისხობს დაგეგმილი შვილების გაჩენის ვადების შემჭიდროებას და საქართველოს პატრიარქის განცხადება, რომ ყოველ მესამე შვილს თავად მონათლავს, სრულიად პიარ-ხელოვნურია და არავითარი შედეგის მომტანი არაა.

სამწუხაროდ, კვლავ ხმამაღლა გვიხდება განცხადება, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსალოდნელია დემოგრაფიული კატასტასტროფა! ქვეყანაში დარღვეულია შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, მაღალია იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და მძიმეა მათი უმრავლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აღინიშნება უარყოფითი მიგრაციული სალდო, მძიმეა საქართველოდან გასული მიგრანტების უდიდესი ნაწილის ხვედრი, აღინიშნება მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილის შემცირება, იზრდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სივრცული განაწილების დისბალანსი, ხდება მთიანი რეგიონის დეპოპულაცია. ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს, ერთი მხრივ, გააჩნია დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრობლემები და, მეორეს მხრივ, ხასიათდება განვითარებული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დემოგრაფიული ქცევით, რაც ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებს კიდევ უფრო აღრმავებს. საქართველოში მდგომარეობას ართულებს ის, რომ დღეისათვის ერთდროულად დგას როგორც მოსახლეობის შემცირების, ისე დაბერების ზრდის პრობლემა. ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკის მსგავსი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის სიჭარბე, ხოლო დაბერება განვითარებული ეკონომიკური ქვეყნების მახასიათებელია.

კვლავ ხაზგასასმელია, რომ შექმნილ ფონს კიდევ უფრო ამძიმებს მიგრაციული პროცესების ინტენსივობა და მომავალ ქვეყანაში უპერსპექტივო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობების ფონზე, მოსალოდნელი ვიზალიბერალიზაციის ფართო გამოყენებით, მიგრაციის დონე კატასტროფულ ნიშნულამდე აიწევს და ეს ყოველივე იმ დროს, როცა გაეროს მონაცემებით, უკვე დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის 19 პროცენტზე მეტი 60 წლის ასაკს გადაცილებულია და ეს პროცესი მომდევნო ათწლეულებში უფრო დაჩქარდება. საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებლები დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით მართლაც სავალალოა. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი 2011 წლის მონაცემებით, საქართველო მოსახლეობა, მატების ტემპის მიხედვით, აღრიცხულ მსოფლიოს 232 ქვეყანასა და დამოკიდებულ ტერიტორიას შორის 217 ადგილზეა, ანუ მოსახლეობის კლების ტემპით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე მე-16 ადგილზეა. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, შობადობის მხრივ, საქართველო მსოფლიოში 179-ე, ანუ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ერთ ქალზე ცხოვრების განმავლობაში აბორტების მთლიანი რაოდენობით (საშუალოდ 3.7 აბორტი) საქართველო აშშ-ის ორგანიზაციის United States Agency For International evelopment (USAID) მონაცემებით, პირველ ადგილზეა, არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონში, არამედ, სავარაუდოდ, ასევე მთელს მსოფლიოში.

ზემოთმოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე მსოფლიოს მოსახლეობის 28.36 პროცენტიანი მატების ფონზე, საქართველოს მოსახლეობა 22.72%-ით შემცირდა და ეს ციფრი უახლოეს ათ წელიწადში 30 % გადააჭარბებს. იმ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, რომლებშიც 1990-2015 წლებში მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა, საქართველომ პროცენტულად ყველაზე მეტი მოსახლეობა დაკარგა. ამჟამად საქართველო, მის მეზობელ ქვეყნებს შორის, რუსეთის გამოკლებით, ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც მოსახლეობის წლიური მატების ნაცვლად, წლიურ კლებას განიცდის. დღეს მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ ძალიან უჭირთ, განსაკუთრებით მცირე ერებს, ეროვნული ადათ-წესებისა და ტრადიციების შენარჩუნება, რაც ჩვენნაირი პატარა ერების ეროვნულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც მწვავედ აისახება.

წლებია, საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება არასწორ დემოგრაფიულ მონაცემებს აქვეყნებდა. ეს, ალბათ, გარკვეული მიზნით კეთდებოდა, ვთქვათ, საარჩევნო სიების გასაბერად, მაგრამ ამის მიღმა რეალურად არაფერი არ კეთდებოდა მდგომარეობის გამოსაწორებლად.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური საგანგებო ღონისძიებები:

1. ერთის მხრივ აუცილებელია საჭირო რაოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზება, მეორეს მხრივ საზოგადოებისათვის სასურველი რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბება. ფინანსური რესურსების მობილიზება ასევე საჭიროა უფასო მშობიარობის ღონისძიებების გასატარებლად;

2. მოსახლეობის არასაკმარისი დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა უნდა შეივსოს საყოველთაო სამედიცინო და სოციალური დახმარების პროფილაქტიკური პროგრამული დანამატით. ბავშვთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს 5 წლამდე ბავშვების სამედიცინო მომსახურეობის სრული დაფინანსება;

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სოციალური მომსახურების სააგენტოთა მიერ მშობიარეებზე, სამშობიარო ღონისძიებების გარდა დამატებითი დახმარებების გაცემა. ამასთან ერთად, ე. წ. „დედობის დაცვის" №**103** კონვენციის შესაბამისად ფეხმძიმე ქალს უნდა მიეცეს დეკრეტული შვებულება ხელფასის არანაკლებ **2/3** ოდენობით. ამ თანხების მოძიება სავსებით რეალურია;

4. ექსპერტთა შეფასებით, ქართველ საზოგადოებას არსებული დემოგრაფიული კრიზისის თანდათანობითი მოგვარება შესაძლებელია ბუნებრივი შობადობის წახალისება-ზრდითაც. უშუალოდ ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არა მარტო ქართულ სახელმწიფოს, არამედ სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებს, კერძოდ: რელიგიურ ინსტიტუტებს; სამოქალაქო საზოგადოებების ჯგუფებს; ბიზნეს ჯგუფებს; ოჯახის, გვარისა და სათემო ინსტიტუტებს; საშუალო და უმაღლეს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ასეულ-ათასობით ქართველი ემიგრანტის საქართველოში რეპატრიაციით, რაც პირველ რიგში, ქართული სახელმწიფოს მიერ მათი დაბრუნებისათვის ხელსაყრელი სოციალ - ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შექმნას მოითხოვს;

5. დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის გზად აუცილებელია ყოვლისმომცველი დემოგრაფიული პროგრამის შემუშავება, მრავალშვილიანი და ღარიბი ოჯახების ხელშეწყობა, ახალშობილთა და ქალთა ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა, ეკონომიკის განვითარება, მაღალმთიანი რეგიონების გაუკაცრიელების პროცესის შეჩერება და სხვა.

6. აუცილებელია, სახელმწიფოს მიერვე, საქართველოში შეიქმნას სახელმწიფოს დემოგრაფიული განვითარების ფონდი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან უნდა დაკომპლექტდეს და ჩამოყალიბდეს სპეციალური ინსტიტუცია, რომლებიც ერის გენოფონდის გადარჩენის გზებს შეიმუშავებს. ამდაგვარი ინსტიტუციის მიერ უნდა შემუშავდეს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შეხამება. ეს თანამედროვემსოფლიოში ისედაც ურთულესი პრობლემაა.

გლობალიზაციის პირობებში კი, საქართველოში მძიმე დემოგრაფიული ვითარების მოსაგვარებლად კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა გვმართებს, რათა თავიდან ავიცილოთ ჩვენი ეროვნული სულიერების მსხვრევა და ქართული სულიერი სამყაროს გადაგვარება;

7. რამდენადაც, ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციას აქვს სისტემური კრიზისის ხასიათი და ამ სისტემის შემადგენელი ნაწილებია: შობადობის კრიზისულ ზღვრამდე შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა, ზოგიერთ რეგიონში – მოსახლეობის შემცირებული გამრავლება, ანუ როდესაც მომდევნო თაობა წინა თაობაზე ნაკლებია, დეფორმირებული სქესობრივ ასაკობრივი სტრუქტურა, ნარკომანია და მისთანა შესაბამისი დაავადებები, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება, ჯანმრთელობის გაუარესება, ცხოვრების გაუკუღმართებული პირობებიდან გამომდინარე, ორმხრივი გენდერული, ძალადობრივი მოვლენების მკვეთრი სიხშირე, უახლოეს ისტორიაში მამაკაცის როლისა და შესაძლებლობების მკვეთრი დაცემა, გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები, ე. წ. ,,ტვინების გადინება", ისედაც დიდი რაოდენობით განდევნილი მოსახლეობა, მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დაბალია დემოგრაფიული პროცესების მართვა და სისტემური ეკონომიკური კრიზისის შედეგადა უაღრესად შეზღუდულია სახელმწიფო რესურსები, ყოველივე ეს მოითხოვს სისტემურ და რეფორმისტულ გარდაქმნებს;

8. დღეს საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, საფრთხე ემუქრება ქვეყნის ფიზიკურ არსებობას და ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობლივი მუშაობა. დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ღონისძიებათა სისტემაში უპირველესია სახელმწიფოს ჩარევა დემოგრაფიული პროცესების მსვლელობაში. პირველ რიგში, ქვეყანაში უნდა გამოცხადდეს საგანგებო კრიზისული დემოგრაფიული ვითარება და შემუშავდეს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი დემოგრაფიული პროგრამები და სამოქმედო გეგმები;

9. უმნიშვნელოვანესია იმის სწორი გაგება, რომ 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ, რამაც, ყოველმხრივ, კიდევ უფრო მეტი სავალალო შედეგები მოიტანა, ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში წარმოებულმა ყველა სახის ომებმა, დევნილების გაჩენამ და, რა თქმა უნდა, სოციალურმა პრობლემებმა და ავადმყოფობის მაღალმა კოეფიციეტმა დემოგრაფიულ რეგრესს მისცა ,,რევოლუციური" ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის შემცირების ტემპი არის კატასტროფულად მაღალი. ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა იზრდება, მაგრამ ეს არარეალურია, რამეთუ, ცნობილია, რომ მოსახლეობის მატება ხდება ორი ფაქტორით - ბუნებრივით, ან მიგრაციით, საქართველოში კი ორივე მაჩვენებელი კლებისკენაა. ასევე არასწორად ხდება გარდაცვლილთა დაფიქსირებაც. საქართველოს ფაქტობრივმა მთავრობამ პრაქტიკულად აკრძალა მიგრაციის აღრიცხვა, რამაც აბსოლუტურად თავდაყირა დააყენა ყველაფერი. გვიჩვენებენ რა, მთლიანად გასულთა და შემოსულთა რაოდენობას და რომელთა უმეტესობაც არის ვიზიტორი, აქ ცალკე უნდა გამოიყოს, სამი თვიდან ერთ წლამდე რამდენია გასული, ან შემოსული და რამდენია ერთ წელზე მეტით შემოსული და გასული. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ, პირველი - სამი თვიდან ერთ წლამდე გასული არის დროებითი, ხოლო ერთ წელზე მეტი ხნით გასული - მუდმივი მიგრანტი. სამწუხაროდ, ეს მონაცემები აღარ მუშავდება და საჭიროა ამ კუთხითაც წარიმართოს მუშაობა, მითუმეტეს, თუ სტატისტიკის დეპარტამენტი კი, ამ დროს, ფაქტობრივად უფუნქციოა და საჭიროებს სასწრაფო რეანიმაციას. შობადობის თანამედროვე პარამეტრების გაზრდასთან, მრავალშვილიანობის წახალისებასთან, მოკვდავობის დონის დადაბლებასთან ერთად მნიშვნელოვანი და აუცილებელია შიდა და გარე მიგრაციის პროცესების შეჩერება, ემიგრანტთა გონიერი და ღირსეული დაბრუნება სამშობლოში, მიგრაციის დადებითი სალდოს მიღწევა-შენარჩუნება და თაობათა სწორი და სამართლებრივი აღწარმოება;

10. უნდა გამოცხადდეს გონიერი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების დეკლარაცია (რასაც, მაგალითად, აკეთებს ჩინეთი) და ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცეს ეს საკითხი. სწორედაც, გონიერი და ძლიერი დემოგრაფიული პოლიტიკით უნდა შევამციროთ მოსახლეობის კლება. აქაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო დონეზე ჩართულობა;

11. მნიშვნელოვანია ცუდი ეკონომიკური პირობებისა და ცხოვრების არასტაბილური პირობების დაძლევა და აღმოფხვრა, ადამიანის საყოველთაო უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, შრომის უფლებებისა და თავისუფლებების მკვეთრი აღმავლობა, სულიერი - ეროვნულ-სარწმუნოებრივი დონის ამაღლებასთან ერთად, რაც სულიერი ფასეულობების მდიდარი დასაყრდენის შექმნაში გამოიხატება, უნდა გაიზარდოს ფიზიკური მატებისა და მასთან დაკავშირებული წამახალისებელი პროცესები. მიგვაჩნია, რომ ზემო ჩამონათვალში მითითებულ ღონისძიებათა გატარება და მასთან ერთად, ამ მიმართულებით, სხვა აუცილებელი სამუშაოების ჩატარება, კომპლექსში კი, სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოება საწინდარი იქნება ურთულესი დემოგრაფიული სირთულეების დაძლევისა და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრი,,
,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"
თავმჯდომარის მოადგილე ნუკრი ბაღდავაძე

ზვიად გამსახურდია

(ამონარიდები გაზეთებიდან)

,,რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია? ზოგს ეს ჰგონია დასავლეთის პორნოგრაფიული და სადისტური ფილმების კულტი, განგსტერების ჰეროიკა, მოდების წამხედურობა, ხელგაშლილი დგომა კრედიტების მოლოდინში, საეჭვო გარიგებები პოლიტიკურ ავანტიურისტებთან და მათთან კავშირში ეროვნული სიმდიდრის განიავება, ასეთ დასავლურ ორიენტაციას ვგმობთ ჩვენ.

ამასთან დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის. ჩვენი თვალსაზრისით ამის ათვისება და გათავისება, დასავლური, ღია დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ."

,,მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ, გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი, თუ ავტორიტარული. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ზრახვები და აშკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.

ეს მსოფლიო ძალები წარმოადგენენ კაცობრიობის მტრებს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს; პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით.

ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო. მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში-მსოფლიო ხელისუფლებით.

ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსლიმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა. ძალები, რომელთაც ეკისრება მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი. ამ ზრახვათა განხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას".

,,კავკასიის რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისთვის".

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრი, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ნუკრი ბაღდავაძე 60 წლისაა



საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დევნილობაში (ემიგრაციაში) და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 60 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრსა და სახელმწიფო მინისტრს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარის მოადგილეს, უბადლო, ცნობილ, გამორჩეულ პიროვნებას, ჩვენს უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს - ბატონ ნუკრი ბაღდავაძეს!

ბატონ ნუკრისა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, უსაზღვრო ბედნიერებას, წარმატებებს შემოქმედებით მოღვაწეობაში და ყოველივე კარგს ცხოვრებაში!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!

წინამდებარე მასალების გაცნობისას, უნებლიედ, ამავე ჟურნალის პირველი ნომერი გამახსენდა, რომელიც 1989 წელს გამოსცა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ და რომლის ყველა წერილის ავტორი თვითონ იყო. სწორედ ასევე, ,,მატიანეს" ამ ნომერში შესული უკლებლივ ყველა, განცხადება, ანალიზი, წერილი... ერთი ადამიანის ნაფიქრი და ნაშრომ-ნაღვაწია. თუმცა ამ ადამიანის დამსახურება არა მარტო ჟურნალ ,,მატიანეს" გამოცემის აღდგენაშია (2008 წლიდან), ყოველგვარ გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ მისი წყალობით, უკანასკნელი ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში განაგრძობს არსებობას და ფუნქციონირებას ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი". ჯერ კიდევ სიჭაბუკის წლებში ის დიდი რისკის ფასად დედასთან ერთად მონაწილეობდა დისიდენტური გამოცემების გამრავლებასა და გავრცელებაში, ხოლო 80-იანი წლების ბოლოს კი, იგი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 31 მარტის აჩევნების შემდეგ იყო ვაკის რაიონის დეპუტატი და გამგებელი, შემდგომ კი ამავე რაიონის პრეფექტი. შემდეგ ... პუტჩი, ხელისუფლების ძალადობრივად დამხობა და მისი მომხრეთა სასტიკი დევნა. არაერთხელ ჩახედა სიკვდილს თვალებში. შემდეგ უთანასწორო დავები სასამართლო ინსტანციებში ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის" გადასარჩენად, თანამებრძოლებთან ერთად, უმძიმეს პირობებში, კავშირის ფუნქციონირების გააქტიურება, ,,ეროვნული კომიტეტი", საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (დევნილობაში) პრემიერმინისტრთან - ბატონ ბესარიონ გუგუშვილთან შეთანხმებით საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების ჩამოყალიბება და ისევ ,,მატიანე" და ისევ შრომა, ბრძოლა სრული უსახსრობის, სრული იზოლაციის პირობებში ... გამორჩეული, არაორდინალური, მასშტაბური აზროვნება, ფანატიზმამდე მისული ერთგულება საქვეყნო საქმისა, მორალური, ზნეობრივი სიმაღლე მას წარმოგვიჩენს როგორც მნიშვნელოვან ფიგურას ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობის უახლოეს ისტორიაში და ღირსეულ ლიდერს ჩვენი კავშირისას!

7 აპრილი ნუკრი ბაღდავაძის დაბადების დღეა. დღეგრძელობას ვუსურვებ ძვირფას მეგობარს და თანამებრძოლს ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ერის საკეთილდღეოდ!

,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარე ნოდარ კიკნაძე

ვით უძღები შვილი სოფლად, ვერ წაუველ ვერსადაო,
თვალთა შენთა მშანთავ ნათელს, მეუფეო ზეცათაო!
ქვესკნელს დამნთქა სულთა მტერმა, სად შენა და მე სადაო,
მომიძიე კრავი შენი, მეუფეო ზეცათაო!
გულისთქმათა განმგებელო, მსურს, ამლაგმო, მესადავო,
სულთა მწეო, ყოვლისმძლეო, მეუფეო ზეცათაო!
სინანულის ცრემლთა რუებს აწ კი უნდა ესათაო,
მოხვედ ჩვენად სინანულად, მეუფეო ზეცათაო!

ზვიად გამსახურდია

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნოდარ კიკნაძე (595353505), ნუკრი ბაღდავაძე, დემნა თორელი